

ISSN 1987-8729



მიხედვეთ მინას: მინა დაგამურებით და გადამომართ თქვენ!

+ 1000 - 1

# მარკეტი

## საცოცხლის ცის

სამარკეტი-საცოცხლადო ზურალი

№1 (136), 01 2024, 2024

### რეაგიზოსი



მისამართი: თბილისი,  
ძითევან დაწოვლის ქ. №77  
ცისალის უბნის რაიონი  
სოფ. გაგუას გადასახვევთან  
ტელ.: 597 70 45 88



# აგროტექსი

ბს ურთ მინდოთ აღრაული, საღი და უცველ მოსახული?

გთავაზობთ უციკალურ, ჰაერგამტარი მულჩის და დაცავი პალევანის ფართო ასორტიმენტს, რომელიც დაიცავს მცენარეს სარევოლებისაგან, გადახურების, დამცვრობების და წაყინვისაგან, შეძმის სასურველ კლიმატს მცენარის უკეთესი აღმოცევისა და განვითარებისათვის, გაიზრდით მოსავლიანობას, დაგიზობაზობის დროს და თანხას.

პროდუქციის დეტალური გაცნობა შესაძლებელია კომპანიის შოუ რუმში, მისამართზე თბილისი, დიდუბე პლაზა პირველი სართული.

[WWW.AGROTEKS.RU.](http://WWW.AGROTEKS.RU)

დაგვიკავშირდით:  
599 529 529 / 599 761321;  
E-mail: [tmikadze@yahoo.com](mailto:tmikadze@yahoo.com)

  
**ახალი აგრარული**  
**საქართველო**  
**AKHALI AGRARULI SAQARTVELO**  
 (New Agrarian Georgia)  
 ყოველთვიური სამეცნიერო-  
 საინიციატივო ჟურნალი.  
 Monthly scientific-informative magazine  
 იანვარი, 2024 ნები.  
 №1 (136)

---

**სარედაქციო კოლეგია:**  
 შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
 ნუგტარ ებანოძე, მიხეილ სიხაძე,  
 ლაშა ავლიანი, ნინო გუგუშვილი,  
 თამარ სანიიძე, რუსული გიგმევილი,  
 ნოდარ ბრევაძე გორგაგი ბარისაშვილი,  
 ნატო ჯაბაძე, ლავით ბარუძე,  
 მალხაზ ხაჩაბეგუშვილი (ქუთ. უწყებულის კონსულტატორი)  
 თამა გუგუშვილი (მედ. ქუთ. რედაქტორი).  
 editor of English version Tamta Gugushvili

---

**სამეცნიერო საბჭო:**  
 აკადემიური სესია, მეცნიერებათა  
 დოქტორები, პროფესორები:  
 რევაზ მახანიძეიძე (თავმჯდომარე),  
 გურამ ალექსიძე, გვია ჯაფარიძე,  
 შაურ ფუტკარაძე, ნინა ჩხარტაშვილი,  
 ნუგტარ ებანოძე, პაატა კოლუაშვილი,  
 ზეიდ ბრევაძე, გოული ვროგორი,  
 ელიზაბეტ გუგუშვილი, ნესტან გუგუშვილი,  
 გრგორია მარგელაშვილი, ანა გულაძანი,  
 ლევან უჯავაძეიძე, ადოლ ტემეშვილი,  
 ნატო კაკაბაძე, კუკური ქერია, გახა ლაშხი,  
 ჯამალ კაცატაძე, ნურა მემანიშვილი,  
 ნიკოლოზ ზაბაშვილი, მახედონ ჭიჭაუკა,  
 დავით ბოსტაშვილი, რეზო ჯაბაძე,  
 იოსებ სარჯველაძე, თეგები ჭურაშვილი,  
 ანატოლი გორგაძე, მურად გარუბავა,  
 ზურაბ ლოლაძე, ქაბა კობაძებეგ.

---

დააკაბლონა გორგი მასურაძემ  
 ფურნალი ხელმძღვანელობს  
 თავისუფალი პრესის პრინციპით.  
 The journal acts in accordance with  
 the principles of free press.  
 © სამეცნიერო უფლება დაცულია.  
 All rights reserved.

---

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა  
 „ივერია“  
 (ციფრული ბაზარითება)  
[www.dspace.nplg.gov.ge](http://www.dspace.nplg.gov.ge)  
 ახალი აგრარული სარტყელი  
 დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა გრიფონშ“

---

**გამოცემის მიმღები:**  
 „აგრარული სექტემბერის მეცნიერული კვლევის ახალ  
 შედეგებს სოფლის მეცნიერების თეორიულ და გამოყენებით სფეროებში“  
 ● მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო.  
 ● სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გა-  
 მოქვეყნდება დენის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

## ცოდნული ცენტრები:

**4 საქართველოს მეცნიერება-გამოცემის სფრთვები**

**11 ვაზის სრული დაკავებები  
 და ზამთრის არიტმიზმი მათთან  
 გრძლების მათოდები**

**13 აკადემიკოსი  
 გივი ჯავარიძე - 80**

**15 არაგვის აკადემიკოსი  
 რეზო ჯავარიძე 70**

**16 თავთავის კულტურული  
 საგაზაფხულო სამუშაოების  
 სარისების და დროული სატარევა  
 გადაღის მოსახლის გარაზისა**

**19 აჭარის სუბტროპიკული ზონის  
 აგრობიოზოგობის გავრცელებული  
 უსერ სახეობის კრებილიდების  
 [COCCINELIDAE] მოქმედების  
 თავისებურებების**

**22 „ეკოსტული ჩაი“, ვევისის აროველი  
 მომზადებელი, გადასარჩევის**

**25 გამოცემის სახელი  
 ესაკადიცის ერთის  
 მარკინებულობის უაპრიკაში**

**26 თესვის ვაჭაპი - რატომ არის  
 მიზანებოვანი თესვის ვაჭაპის  
 დასვა**

**27 თესვის წესი - რატომ არის  
 არის ტოლი აუზილებელი**

**27 კავშირის წარმომადგენერაცია**



**5**

**საექსპორტო არა მარტო  
 გამორჩეული ღივი, არამედ  
 საუკეთესო ბრენდის გვარება თუ...**

**აგროტექნოპარკი** – ესაა სასოფ-  
 ლო-სამეცნიერო წარმოების, მეც-  
 ნიერებისა და განათლების ინტეგ-  
 რაციის ფორმა, შექმნილი სოფლის  
 მეცნიერებისა და გადამამუშავებელი  
 მრეწველობის სფეროში არსებული  
 ინოვაციების კომერციალიზაციის  
 მიზნით.

**29 გივი ჯავარიძე-ძე ცენტრი**

**29 კოგრის საოცხე  
 გაუმჯობესების აღმისა-  
 მომზადებული**

**32 ვაროს საწინააღმდეგო  
 შეაგრძელებათი უაზავლის  
 საედასახადი**

**33 გაეთ კითხვა აგრონომთან?**

**34 გაეთ კითხვა ვახარისართან?**

## ურნალ „ახალ აგრარულ საქართველოში“

**სამეცნიერო სტატიის ცარმოდგენის და გამოქვეყნების წესი:**

- ურნალში გამოქვეყნებული სტატია უნდა მოიცავდეს მეცნიერული კვლევის ახალ  
 შედეგებს სოფლის მეცნიერების თეორიულ და გამოყენებით სფეროებში:
- მიღებულ სტატიებს განიხილავს სარედაქციო კოლეგია და სამეცნიერო საბჭო.
- სტატიები მიღება ქართულ, უკრაინულ, რუსულ, ინგლისურ, ენებზე. სტატია გა-  
 მოქვეყნდება დენის ენაზე (ქართული რეზიუმის თანხლებით).

**სტატიის გაფორმების წესი**

- სტატიის მინიმალური მოცულობა 2,5 მაქსიმალური 7 გვერდს, A4 ფორმატი;
- რეზიუმე ქართულ, რუსულ და /ან ინგლისურ (აუცილებლად) ენებზე (100-200 სიტყვა);
- საკვანძო სიტყვები ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- სტატიის დასახელება ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ავტორის (ავტორთა) სახელი, გვარი, აკად. სარისხი ქართულ და ინგლისურ ენაზე,  
 ელექტრონული მისამართი და ტელეფონის ნომერი;
- სტატიის შესავალი, ძირითადი ტექსტი და დასკვნითი ნაწილი;
- გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- ქართული ტექსტისთვის გამოიყენეთ ქართულ შრიფტი (sylifaen) სილფანი, ხოლო  
 ინგლისური და რუსული ტექსტების შრიფტი – Times New Roman, შრიფტის ზომა 12,  
 ინტერვალი 1,5, კიდება დაშორება 2,5 სმ.



## ჩავლილი 2023 წელი საქართველოს გევენახეობა- გეღვისძიების ცვერზები

2011 წლიდან მოყოლეობული ქართველ მკითხველს ყოველი წლის გოლოს ვთავაზოთ ვაზისა და ღვინის სფეროზე მომზადები ამგაბის მოვლე მი-მოსილვას. მოვლენის ამ მხრივ გასულ ცელსაც საკარგ მრავლად იყო. ამითომ ჩვენ ძირითადი შევირდებით და შემოგთავაზებით ზოგიერთ ამ მოვლენათა ჩვენი განვითარება-შეფასებას.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ჩვენი ქვეყნის ვაზისა და ღვინის სფერო პრობლემათა ზღვის ფსკერზე ძევს. ყველაზე დიდი გასაჭირო ჩვენს მევენახეობას, უფრო კონკრეტულად ამპელოგრაფიას დასდგომია და მეცნიერების ეს დარგი, შეიძლება ითქვას, ბოლომდეა განადგურებული. მით უფრო სამწუხაროა ის, რომ ამ დარგის სპეციალისტები ფაქტობრივად არა გვყავს. ჩვენი ქვეყნისა და კულტურისთვის ეს მეტად მნიშვნელოვანი საქმე ჯერ-ჯერობით მთელი სვლით მიდის უკან. რა თქმა უნდა, არის გამოსავალი და შესაძლოა, ამ მხრივ არაერთი გზაც კი მოიძებნოს. უპირველესად უნდა დაფიქსირდეს დღეს არსებული სიტუაცია. დასადგენია თუ სადა ვართ და საერთოდ რასა ვფლობთ ქართული ვაზის ჯიშების მხრივ? შემდგომი ნაბიჯები ის გახლავთ, რომ შეირჩნენ სტუდენტები და გაიგზავნონ უცხოეთში სასწავლებლად, რათა იქ შეისწავლონ ამპელოგრაფია და ძირულად დაუცლონ ამ სფეროს. შემდგომად უნდა მოხდეს ამ კადრების რეგიონებში განაწილება. მაგალითად, მესხეთი უნდა ჩაბარდეს ერთს რომელსამე კადრს, რათა მიხედოს საქართველოს ამ კუთხეს; იმერეთი მეორეს და ასე სხვა რეგიონებიც... ყოველი შემთხვევისათვის ასე გაგრძელება ნამდვილად არ შეიძლება! ეს გახლავთ თითოეული ქართველის საქმე და არა კონკრეტულად ერთი ან ორი ადამიანისა ან რომელიმე კანტორისა.

მოგეხსენებათ, ავადმყოფობა და-მალვით არ იყურნება! ჩვენი მიზანი არ არის ვინებე კონკრეტული პირების მხილება, არამედ შექმნილი ურთულესი ვითარებიდან გამოსავლის ძიება და მსჯელობა. სახელმწიფოს ნამდვილად აქვს იმისი საშუალება, რომ ამ საგნის დასაუფლებლად ახალგაზრდები უცხოეთში გააგზავნოს სასწავლებლად.

ორი სიტყვით შევეხოთ გასული წლის კლიმატურ პირობებს მევენახეობის მხრივ. სეტყვაზე რომ არაფერი ვთქვათ, გასული წლის გაზაფხული და ზაფხული ურთულესი ალმოჩნდა მთელი საქართველოს მევენახეობის რეგიონებისათვის. იგივე პრობლემა (ჯერ გვალვები და შემდეგ ძლიერი წვიმები) ევროპელ მევენახებსაც დაუდგათ. ჩვენთან კი უპირატესად გადაუდებელი წვიმები იყო პრობლემა, რამაც მევენახები ძალიან დააზარალა. ზოგ ადგილებში მევენახებმა მოსავალი საერთოდ ვერ მიიღეს. ფაქტია, რომ შემოტანილი პრეპარატები რიგ შემთხვევებში უხარისხოა. ეს სამწუხარო რეალობა ცოტა „ზემოდან“ იმართება და ამ პრობლემის მოგვარება იოლი საქმე არ არის. მეორე მხრივ ჩვენ ვდგავართ მნარე რეალობის პირისპირ. ესაა უცოდინარობა და ეს პრობლემა მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობისთვისაა აქტუალური და მტკიცნეული. სულ უფრო და უფრო იშვიათია მევენახეობის დარგის სპეციალისტი... ვაზის ნამლობების, აგროტექნიკის, მწვანე პერაციების, მავნებელ-დაავადე-

ბების, ვაზის ნაკლოვანებებისა და სხვათა მხრივ დარგობრივი ცოდნა ნულობდება დასული. ამ პრობლემები შეიძლება ითქვას, რომ მაქსიმუმს მიაღწია, რასაც ემატება მუშახელის ნაკლებობა და ასევე თანამედროვე ტექნიკის უქონლობა. დღეს საქართველოში ძირითადად „ვერმახტის“ დროინდელი ტექნიკა შემოდის. არადა როგორი საჭიროა ჩვენთვის თანამედროვე ტექნიკა. ერთი სიტყვით ქვეყნის მევენახეობა დიდი პრობლემების ნინაშე დგას, რასაც შველა ესაჭიროება.

ერთ-ერთი მტკიცნეული საკითხი ისიც გახლავთ, რომ დღეისათვის შინამრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგს, როგორიც მექვევრებისა დიდი პრობლემები დასდგომია. დღევანდელი ქვევრების ხარისხი ძალიან მოიკოჭლებს და ნაკლებად თუ ვნახავთ ხარისხიანი ქვევრით კმაყოფილ მემარნეს. არადა მეღვინეობის სფეროში არაერთი ორგანიზაცია ტრიალებს და არა მგონია, რომ ამ საგანზე სამსჯელოდ, რომელიმე მათგანმა მაგიდასთან დაჯდომა დაიზაროს. რა თქმა უნდა ამ საქმეში სახელმწიფოც უნდა ჩაერთოს და საკითხების მოგვარებაზე ზრუნვა და მათი განხორციელება ერთობლივად უნდა დაიგეგმოს. ფაქტია, რომ ქვევრის ხარისხი დაეცა და ეს საქმეც, ამპელოგრაფიისა არ იყოს, უკან მიდის. რა დანადგარები და მექანიზმებია ხარისხიანი ქვევრის მისაღებად საჭირო და როგორ უნდა მოხდეს მათი შექნა და ადგილზე დამზადება? აი ის კითხვები, რაზეც მსჯელობა სასწავლით საგნად მიგვაჩნია. მით უფრო, რომ ქვევრები უცხოეთშიც გაედინება, ხოლო დიდი მოწონებით ვერც ევროპის ქვეყნებში სარგებლობს ქართული ნაწარმი. მადლობა ღმერთს,

რომ გვაქვს იშვიათი გამონაკლისები, მაგრამ ამით ფონს ვერ გავალთ! არ-სებულ პრობლემაზე სახელმწიფოს, მემარნეთა, მექვევრეთა და მეღვინე-თა მხრიდან ერთობლივი მსჯელობა, აი აქედან დაიწყება ამ საქმის გამოს-წორება...

რაც შეეხება მეღვინეობის დარგს, ეს მიმართულება საკმაოდ რთულად, მაგრამ მაინც ვითარდება. ეს განვი-თარება უპირატესად ოჯახური მარ-ნების დამსახურებაა. ღვინის მსოფ-ლიო სამყარომ ჩვენ სწორედ მაშინ გავიცნო, როდესაც ტრადიციული ქვევრ-მარნების ალორძინება და-იწყო. ამ მცირე დროში ჩვენს ქვეყანა-ში ძალზე მნიშვნელოვანი ნაბიჯებია გადადგმული.

შევეხოთ მეღვინეობის შიდა და უცხოეთის გამოფენებს. განსაკუთ-რებული აღნიშვნის ღირსია ნატუ-რალური ღვინის ფესტივალი „RAW WINE“, რომელიც სხვადასხვა ქვეყ-ნებში ტარდება და სადაც სულ უფ-რო და უფრო მეტი მემარნე იღებს მონანილეობას ჩვენი ქვეყნიდან. ამას ჩვენი ტრადიციული მეღვინეო-ბის განვითარებისთვის დიდი მნიშ-ვნელობა აქვს! ეს ღონისძიება ყო-ველნლიურად ტარდება ბერლინში, ლონდონში, პარიზში და სხვ. ასევე აღნიშვნის ღირსია „Orange Wine Festival“, რომელიც სხვადასხვა ქვეყნე-ში იმართება და სადაც ქართველებიც იღებენ მონანილეობას (ვფიქრობთ, რომ საქართველო მზადაა, რათა ახ-ლო მომავალში უმასპინძლოს ამგვარ ღონისძიებებს). რაც შეეხება შიდა გამოფენებს, ამ მხრივ გასული წელი საკმაოდ დატვირთული იყო. ამ გამო-ფენებს მორის ყველაზე მასშტაბური „ახალი ღვინის ფესტივალია“. ღონის-ძიება საქართველოს ღვინის კლუბის ეგიდით ტარდება, რაც მეორე მხრივ ღვინის ნამდვილ სახალხო დღესას-ნაულს წარმოადგენს. მაგალითად 2023 წლის ფესტივალი წვიმიანი იყო, მაგრამ ამ დღემ სრული დატვირთ-ვით ჩაიარა და, უამინდობის მიუხე-დავად, უმრავი სტუმარი მოვიდა. „ასოციაცია ბუნებრივი ღვინის“ ორ-განიზატორობით ჩატარდა ორი დიდი გამოფენა: „ნულოვანი კომპრომისი“, ანუ ეგრეთნოდებული „ზერო“ და „ამერ-იმერი“. ამ ღონისძიებებს ყო-ველნლიური ხასიათი აქვთ და, უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე დიდა და კარგ საქმესაც აკეთებს ქართუ-ლი ტრადიციული მეღვინეობის გან-

ვითარებისათვის. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებას, რომ „ამერ-იმერი“ ტრადება და-სავლეთ საქართველოში, იმერეთში. კარგი იქნება თუ ასოციაციის მმარ-თველი ჯგუფი იზრუნებს, რომ შეც-ვალოს თბილისის ღონისძიების ყოვ-ლად მიუღებელი სახელი „ზერო“. ამ გამოფენას აქვს სხვა, საკმაოდ გრძე-ლი სახელი, მაგრამ მას, რატომღაც ყველა „ზეროს“ სახელით მოიხსენი-ებს, რაც მიუღებლად მიგვაჩნია!

გასულსავე წელს ლეჩხუმში (ცაგე-რი) ჩატარდა რაჭა-ლეჩხუმის ღვინის ფესტივალი. ასევე გურჯაანის ღვინის ფესტივალი; ბოლნისის ღვინის ფესტივალი.... ამგვარ გამოფენებს რეგი-ონების გამოცოცხლებისათვის და რაც მთავარია ტრადიციული მეღვი-ნეობის პოპულარიზაციისათვის დი-დი მნიშვნელობა აქვს. ასევე ჩატარ-და ოქონობის ღვინისადმი მიძღვნილი ღვინის დღე, რომელიც ყოველწლიუ-რად ტარდება იმერეთში (თერჯოლა). გასულ წელს ქართული მეღვინეობის პოპულარიზაციისთვის სახელმწი-ფოსგანაც გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები. მთელი საქართველოს მას-შტაბით მოენყო ღვინის კვირეული და რეგიონებში გაიმართა ღვინის გამო-ფენები. ღვინის კლუბის ორგანიზე-ბით თბილისში ჩატარდა კიდევ ერთი ღონისძიება „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“. აღვნიშნავთ ასე-ვე ტრადიციადცეულ გამოფენასაც, რომელიც იმართება „ექსპოჯორჯი-ას“ ეგიდით. ამ გამოფენას 2023 წელს განსაკუთრებით დიდი მასშტაბი ჰქონდა. მნიშვნელოვანია ასოციაცია „ქართული ღვინის“ მიერ ორგანიზე-ბული ყოველწლიური ღონისძიება „ქვევრის ღვინის საერთაშორისო კონ-კურსი“. ამ კონკურსში გასულ, 2023 წელს ქართველებთან ერთად არაერ-თმა უცხოელმა მემარნემაც მიიღო მონანილეობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან. ღონისძიების ცნობადო-ბა სულ უფრო და უფრო იზრდება.

მისასალმებელია სახელმწიფოს ინიციატივა ბიონარმოების და კონ-კრეტულად ბიომევენახეობის გან-ვითარების ხელშეწყობის მხრივ. ამ საქმიანობაში უშუალოდ ჩართულია სამინისტრო და სოფლის განვითარე-ბის სააგენტო. ჩვენი ქვეყნის ბიომე-ვენახეობას, რომელი მიმართულებაც საკმაოდ რთულად ვითარდება, გან-საკუთრებით ესაჭიროება დახმარება და ამ მხრივ სახელმწიფოს ინიციატი-

ვა მეტად სასიკეთოა.

ჩვენ 2022 წლის მევენახეობა-მეღ-ვინეობის განხილვაში აღვნიშნეთ, რომ ჩასასწორებელია დოკუმენტი – ქვევრის, როგორც გეოგრაფიული აღნიშვნის შესახებ. სამწუხაროდ, ეს მტკიცნეული საკითხი ისევ მოუგვა-რებელია. გვინდა ვთქვათ, რომ დო-კუმენტი შეიცავს ყოვლად სამარ-ცხვინო შეცდომებს, რაც დროულ მოგვარებას საჭიროებს. საერთოდ ამგვარ მნიშვნელოვან საკითხებზე ყველას რომ არ ჰქონდეს შეხება სა-მომავლოდ მაინც იქნება კარგი...

გასულ წელს საქართველოს კულ-ტურული მეგვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ მოხდა რთვლისათვის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგ-ლის სტატუსის მინიჭება, რაც მისა-სალმებელია. ამ მხრივ სამუშაოები წინაა, რადგან ვაზისა და ღვინის სფეროდან ბევრი საგანია, რაზეც შესაძლებელია ამ მხრივ მსჯელობა და ფიქრი. ხოლო რთველი კი, თავი-სი მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, ნამდვილად იმსახურებდა ხსნებული სტატუსის მინიჭებას.

ცვლილებებსა და ჩასწორებებს სა-ჭიროებს, ასევე, საქართველოს კანო-ნი ვაზისა და ღვინის შესახებ...

ეხლა კი თვალი გადავავლოთ გასუ-ლი წლის გამოცემებს ვაზისა და ღვი-ნის სფეროში. პირველ რიგში მინდა შევეხო გამომცემლობა „არტანუჯის“ მიერ გამოცემულ უმნიშვნელოვანეს





ნიგნს – „მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოში“, ივანე ჯავახიშვილი. გამოცემა საკმაოდ მოცულობითია და შედგება 500-ზე მეტი გვერდისგან. მასში შესულია აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შრომები საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორიის სფეროდან. ეს გამოცემა უდავოდ უნდა ჩაითვალოს წლის მოვლენად!

ასევე, გამომცემლობა არტანუჯის მიერ გასულსავე წელს გამოიცა განმეორებითი ტირაჟი წიგნისა „მარანი ქვევრი ღვინო“. ავტორი გ. ბარისაშვილი.

საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცემა „Homelend of Wine“ (ღვინის სამშობლო). 2023 წელს გამოიცა უურნალის ერთი ნომერი, ხოლო მეორე მზადაა გამოსაცემად. ეს უურნალი ქართულ-ინგლისურია და მრავალ ქვეყანაში იგზავნება. ამიტომაც მისი სტაბილურობა მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მევენახეობა-მეღ-

ვინეობის პოპულარიზაციის საქმეში.

2023 წელს გამოიცა მხატვრული წიგნი „მზეჩამდგარი მტევნები“. წიგნში შესულები არიან დამწყები მემარნეებიც. მასში მოთხოვილია საქართველოს მეღვინეობის ტრადიციები. ავტორი: გიორგი ბარისაშვილი.

საქართველოს ღვინის კლუბის მიერ განხორციელებული პროექტის – „ღვინის სოფლის“ ფარგლებში ერმილე ნაკაშიძის ნაშრომის მიხედვით გამოიცა წიგნი „ვაზი და ღვინო გურიასა და სამეგრელოში“ (ისტორია, ტურიზმი, დეკუსტაცია). ავტორები: მალხაზ ხარბეგია, ლევან სეფისკვერაძე, გიორგი ბარისაშვილი.

წლის მიწურულს, 23 დეკემბერს, ღვინის კლუბის ორგანიზებით ჩატარდა ცერიალი ღვინოების ფესტივალი, რომელიც პირველად 2022-ში ჩატარდა. ეს გახლავთ მეტად საჭირო ღონისძიება, რადგან ასეთი ფესტივალი ჩვენში ამ დრომდე არ ჩატარება.

ბულა და ის ღვინის კლუბმა დააარსა. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით გაიმართა და ის ძალიან უწყობს ხელს საქართველოში ოჯახური წარმოების ცქრიალა ღვინოების განვითარებას.

ჩვენი მოკლე მიმოხილვის ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა აღვინიშნო ის რთული გარემოება, რაც ჩვენი ქვეყნის ვაზისა და ღვინის სფეროების განვითარებას უმლის ხელს. რაც ჩვენში ტრადიციული მეღვინეობის აღორძინების საქმე დაიწყო, რომ არა უამრავი ხელისშემშლელი წინაღობა, როგორიცაა ქვეყანაში სრული სვლით აღმავალი კორუფცია, ღვინის ფრთაგაშლილი ფალსიფიკაცია და მეცნიერების სახელს დროებით თავშეფარებული ზოგიერთი პირი, ეს დარგები დღეისათვის უკვე ძალიან წინ იქნებოდა წასული. ადრეც ვთქვი და კულავაც გავიმეორებ, რომ, რაღაც რევოლუციის მსგავსია მოსახდენი. საჭიროა ჯერ ამ პარაზიტების გაძევება და შემდეგ დარგისა და ქვეყნის ერთგული ქართველებისგან შემდგარი ჯგუფის შექმნა, ვინც თითქმის თავიდან დაინტერეს საქმის კეთებას.

მინდა დამდევი შობა-ახალი წელი მივულოცო ჩვენს ქვეყანას. მინდა წარმატება უსურვო ყველა მემარნეს და მადლობა გადავუხსადო მათ, რომ ხშირად ენთუზიაზმით აკეთებენ თავიანთ საკეთებელს და საკუთარი ნაშრომით სახელს უთქვამენ ჩვენს ქვეყანას.

**მინდა გარიბაშვილი,  
მცხეთა, 2023 წ.**

## გაცნოარის აზრი

### საესარიტო არა მარტო გამორჩეული ღვინო, არაედ საუკათესო პრედიც გვევხება თუ...

შურალში „აგრარული საქართველო“, №11(34), ფუნდაციონურ კვლევით სამუშაოებზე დაყრდნობით [1,2,3], ჩვენ გამოვთქვით მოსაზრება იმის შესახებ, რომ ძართული თეთრი ღვინოების ხარისხის გაუმჯობესებისა და კონკურენციურის აგაღლევის მიზნით, აუცილებელი იქნება და უზრუნველყოფით გადამუშავების კოლექტურ (იმარტ) ტერიტორიაზე.

ასევე გამოთქმული იყო მოსაზრება იმის შესახებ, რომ წარმოებაში უნდა დაინერგოს მინისზედა ქართული ქვევრები. უფრო ადრე აღნიშნული საკითხები მოისმინეს და მონიშნებულ იქნა ეროვნულ და სოფლის მეურ-

ნეობის მეცნიერებათა აკადემიებში ქვეყნის წამყვანი მეცნიერებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

აქართველოს ეროვნულმა აკადემიამ ფართოდ გააშექა ინსტიტუტის მიერ შემოთავაზებული ინოვაციუ-



რო ტექნოლოგიები და წარმოდგენილ დასკვნებსა და წინადადებებს შესაბამისი მსვლელობაც მიეცა. სოციალურ ქსელებში კი, მეცნიერებისა და განათლებისაგან საკმაოდ დისტანციორებულმა, არამკითხე ენთუზიასტებმა ლამის ერის მტრად გამომაცხადეს – რას პერია, ქვევრი მიწიდან უნდა ამოვილოთ, ეს ხომ სამშობლოს ღალატს წიშნავს! ეს მაშინ, როდესაც მიწისზედა ქართული ქვევრები დღეს წარმატებით გამოიყენება ევროპისა და ამერიკის, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ღვინის ქარხნებში და, პირადად მე, ქართული მეღვინეობის კულტურის ესოდენ დიდი აღიარება, მისდამი კრეატიული მიდგომა ნამდვილად მეამაყება.

ასევე მრავალწლიან კვლევით სამუშაოებზე დაყრდნობით [4,5,6,7], ინსტიტუტის ინიციატივით, კანონში „ვაზისა და ღვინის შესახებ“ შეტანილ იქნა ჭაჭის არყის ახალი ტექნოლოგია და შესაბამისი განმარტებები, რომლის მიხედვით ქართული ალკოჰოლიანი სასმელი „ჭაჭა“ შეიძლება ვანარმოოთ დადუღებული დურდოს გამოხდითაც. რომ არა სამინისტროს მაშინდელი ხელმძღვანელობის (ო.დანელია, ლ. დავითაშვილი, ო. კაჭარავა) თანადგომა, ეს სიახლე, რომელმაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ყურძნისეული წარმოშობის ქართული სასმლის – ჭაჭის ხარისხი და კონკურენტუნარიანობა, უკანონო ქმედებად ჩაითვლებოდა, უწიგნური „სპეციალისტებისა“ და „მეცნიერებისათვის“ რომ დაეჯერებინათ, რომლებიც ახლაც მრავალად მოგვეპოვება სამინისტროებში, ეგრეთ წოდებულ სამეცნიერო ცენტრებსა თუ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და უნიფორმულო ქსელებში, რადგანაც სერიოზულ პერიოდიკაში ჯანსაღი კამათის გამართვის შენ და უნარი, რომელშიც, ზოგადად, ჭვემარიტება იბადება, მათ არ გააჩნიათ.

გასულ წლებში საქართველო ანარმოებდა 20-22 მლნ ბოთლ „ქართულ კონიაკს“. დღევანდელ ფასებში ეს წარმოადგენს 200-250 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საექსპორტო პროდუქციას. დღეს ამ დასახელების სასმლის წარმოება, ფრანგი კონსულტაციების დაქინებული მოთხოვნით, კანონმა აკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ თვით იმ საფრანგეთში ქარ-

თველი მეცნიერის გიორგი ბოლქვაძის მიერ წარდგენილმა ქართულმა კონიაკებმა არაერთგზის მოიპოვეს ოქროს მედლები, ხოლო ქართველი მეცნიერი აირჩიეს ბელგიის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად (ეტყობა, იმ დროს კონიაკზე გავლენას ვერ ახდენდა ყურძნის მოყვანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ახლა – ეს სასმელი ადგილწარმოშობის პროდუქტად იქნა აღიარებული, საამისოდ საჭირო რაიმე დასაბუთების გარეშე).

**ისლა დაგვერჩენია, რომ ქართული ჭაჭის (ამ დასახელებას, იმედია, ვერავინ აგვიკრძალავს) ტექნოლოგია**

იმერული ღვინის) უნდა გამოვიყენოთ ღვინის დადუღებისთანავე, ანუ ახალგზრდა ასაკში, ღვინომასალის დურდოზე დავარგების გარეშე.

აღსანიშნავია, რომ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის – გრაპას წარმოებას იტალიაში დიდი ყურადღება ეთმობა. პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და ასორტიმენტის გაფართოების მიზნით, იტალიაში ფუნქციონირებს გრაპას 5 წაციონალური ინსტიტუტი. შედეგმაც არ დააყოვნა – გრაპა მოედო ხუთივე კონტინენტს და ამ სასმლის რეალიზაციით მიღებული შემოსავალი არ ჩამორჩება ღვინის რეალიზაციით




ისე დავხვენოთ, რომ ის ტოლს არ უდებდეს არც კონიაკსა და არც სხვა ყურძნისეული წარმოშობის სასმელებს, და ამის შესაძლებლობას ისევ და ისევ ქართული (კოლხური) ტექნოლოგია იძლევა [4,5].

ნახ.1-ზე წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის თეთრი ღვინოებისა (ევროპული, იმერული, კახური) და მათგან დამზადებული ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის გამომსახველი დიაგრამები, რომელთა ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ იმერული (კოლხური) ტექნოლოგიით დაყენებული ღვინის გამოხდით მიღებული დისტილატი ბევრად უფრო მაღალი ხარისხის ალკოჰოლიან სასმელს იძლევა, სხვა დანარჩენ სასმელებთან შედარებით. წარმოდგენილ მონაცემებზე დაყრდნობით, ისიც ხაზგასასმელია, რომ ნებისმიერი ღვინის დისტილატი (ევროპული, კახური თუ

მიღებულ შემოსავლებს, რადგანაც იტალიაში მნიშვნელოვნადა გაფართოებული გრაპას ასორტიმენტი, და ეს მეცნიერული კვლევების გარეშე არ მომხდარა.

პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების მიზნით, შექმნილია შემდეგი სახის გრაპა:

● **Giovane** („ახალგაზრდა“) ან **bianca** („თეთრი“) – გრაპა, რომელიც ბოთლებში ჩამოისხმება ჭაჭის გადადენისთანავე მიღებული დისტილატის გამოყენებით ან ამ უკანასენელის მინის ან უჟანგავი ფოლადისაგან დამზადებულ ჭურჭელში ხანმოკლე დაყრდნობის შემდეგ. სასმელს აქვს მკვეთრი გემო, რომელიც ბოთლებში დაძველებისას არ უმჯობესდება. ეს არის იაფი სასმელი და, როგორც ასეთი, დიდი პოპულარობით სარგებლობს იტალიაში.



ნახ. 1. ლვინის დისტილატებისა (ა) და ლვინოების (ბ) ხარისხის ცვლილებები და გარგებისას:

1-იმღრული ტიპის ლვინო (ტებილის დადუღება და შემდგომი დავარგება 5% ჭაჭაბე) და შესაბამისი დისტილატი; 2 - ევროპული ტიპის ლვინო (ყურძნის ტებილის დადუღება და შემდგომი დავარგება ჭაჭაბე გარგებე) და შესაბამისი საკონიაკე სპირტი; 3 - კატური ტიპის ლვინო (ტებილის დადუღება და შემდგომი დავარგება სრულ ჭაჭაბე) და შესაბამისი დისტილატი.

● **affinata in legno** – მუხის კასრებში 6 თვის განმავლობაში დავარგებული გრაპა, რომელსაც აქვს შედარებით უფრო რბილი გემო და ლია ოქროს-ფერი შეფერილობა.

● **vecchia** – ერთი წლის განმავლობაში მუხის კასრებში დავარგებული გრაპა.

● **stravecchia** – 50 მოც %-ის მქონე გრაპა, რომელიც დაყოვნებული იყო მუხის კასრებში 1,5, წლის მანძილზე და აქვს ოქროსფერი შეფერილობა.

● **monovitigno** – გრაპა, რომლის დამზადებისას გამოყენებული ნედლეული შეიცავდა არანაკლებ 85%-ის ოდენობით ერთი რომელიმე ჯიშის ყურძენს.

● **polivitigno** – გრაპა, რომლის დამზადებისას გამოყენებული იყო არანაკლებ ორი ჯიშის ყურძენი;

● **aromatica** – გრაპა, რომლის დამზადებისას გამოყენებული იყო არომატული ჯიშის ყურძენი;

● **aromatizzata** – გრაპა, რომლის დამზადებისას გამოყენებულია ნატურალური არომატული მცენარეების ნაყენები;

● **uve** – განსხვავდება ყველა ზემოთ ჩამოთვლილი გრაპისაგან იმით, რომ მიიღება არა ყურძნის ნარჩენებისაგან (ჭაჭისაგან), არამედ მთლიანი ყურძნის გადამუშავების გზით. ყურძნებს ადუღებენ უსანგავი ფოლადისაგან დამზადებულ კონტეინერებში, მიღებულ ფერმენტირებულ დურდოს შემდეგ გადადენიან ტრადიციულ გადასადენ აპარატებში, მაგალითად,

კუპებში. ასეთი გრაპა ჩვეულებრივი საგან განსხვავდება სირბილითა და აქვს ყურძნის სპეციფიკური არომატი.

● **Grappa soft** – დაბალგრადუსიანი (არა უმეტეს 30 მოც %-იანი) გრაპა.

საქართველოში როგორც ლვინის, ასევე ალკოჰოლიანი სასმელების ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნის საკითხებზე 1961 წლიდან მუშაობს საქართველოს კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. ინსტიტუტის იმის შესაძლებლობაც კი არა აქვს, რომ შეიძინოს თანამედროვე დანადგარები და მოწყობილობები. უკიდურესად დაბალი ხელფასების გამო, ახალგაზრდობა თავს არიდებს სამეცნიერო საქმიანობას.

ისიც უნდა აღვნინოთ, რომ საქართველოს მთავრობა მნიშვნელოვან სახსრებს ხარჯავს ინოვაციური ტექნოლოგიების შესაქმნელად. ასეული მილიონობით ლარია გამოყოფილი მეცნიერული კვლევების ჩასატარებლად როგორც ფუნდამენტური, ასევე გამოყენებით ხასიათის კვლევების ჩასატარებლად, მაგრამ, კერძოდ, კვების მრეწველობის დარგს ეს არ დასტყობია – ბოლო 30 წლის მანძილზე საქართველოში არ შექმნილა არცერთი ინოვაციური ტექნოლოგია, რომელიც რაიმე გავლენას მოახდენდა კვების საექსპორტო პოტენციალზე. ამდენად, ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების სამრეწველო მასშტაბით დანერგვა მოითხოვს ინსტიტუტის ბაზაზე ტექნოპარკის დაფუძნებას.

ბოლო წლებში ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების ქვეყნის მასშტაბით გავრცელება გაზრდის ქვეყანაში ნარმოებული ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო კვების პროდუქტების ხარისხს და მნიშვნელოვნად მოხსნის ქვეყანაში არსებულ სოციალური დაძაბულობის პრობლემას, დადებითად აისახება ქვეყნის საექსპორტო პოტენციალზე. ამდენად, ინსტიტუტში შექმნილი ინოვაციური ტექნოლოგიების სამრეწველო მასშტაბით დანერგვა მოითხოვს ინსტიტუტის ბაზაზე ტექნოპარკის დაფუძნებას.

ტექნოპარკების შექმნის ერთიანი სცენარი არ არსებობს. ტექნოპარკები, როგორც წესი, იქმნება ქვეყანაში არსებული კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. საქართველოს აგროსამრეწველო კომპლექსში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირების, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნის და სამრეწველო

მასშტაბით რეალიზაციის სტიმული-რების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა დაფუძნდეს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის სახელმწიფო კერძო პარტნიორობის მსოფლიოში აღიარებული ფორმა – **აგროტექნოპარკი.**

### აგროტექნოპარკის

#### ფუნქციონირების

#### მოსალოდნებლი ზოგადება

– სოფლის მეურნეობისა და გადამამუშავებელი მრეწველობის სფეროში ინოვაციური საქმიანობის სტიმულირება;

– იმ მეცნიერ-მუშაკების, დოქტორანტების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის ხელშემწყობი სასტარტო პირობების შექმნა, რომელთაც დაგეგმილი აქვთ საკუთარი კომპანიების გახსნა და მაღალი ტექნოლოგიების სფეროში სამეცნარმეო საქმიანობა;

– უკვე არსებული მცირე და საშუალო საინვაციო კომპანიებისათვის, ასევე ურთიერთხელსაყრელი პირობებით აგროტექნოპარკთან თანამშრომლობის მსურველი კომპანიებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

### დასკვნები და წინადაღებები

1. ბოლო 30 წლის მანძილზე არა მარტო აგროსამრეწველო კომპლექსში, არამედ მთლიანად საქართველოში შეიმჩნევა ინოვაციური აქტიურობის მკვეთრი ვარდნა, რის გამო სოფლის მეურნეობაში არსებული ნედლეულის რესურსები დღემდე რჩება გამოუყენებული რეზირვის მდგომარეობაში, რაც გადაუჭრელ პრობლემად ტოვებს მოსახლეობის სოფლად დასაქმებას, ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის ათვისების საქმეს. ამასთანავე, დღემდე არ არსებობდა ამ სფეროს აღმოჩენების მეცნიერულად დასაბუთებული არც კონცეფცია და არც ცალკეული დარგების განვითარების კონკრეტული პროგრამები.


2. მეღვინეობის მთელ რიგ ქვეყნებში ინტენსიურად მიმდინარეობს გამოკვლევები მინისზედა ქართუ-

ლი ქვევრების წარმოებაში დანერგვის მიზნით. მხოლოდ ღვინის ქვევრის სამშობლოში – საქართველოში ქართული ტიპის სუფრის ღვინოების წარმოება ხდება მინაში ჩაფლული დრომოჭმული ტექნიკისა და შრომატევადი ტექნოლოგიების გამოყენებით. როგორც შედეგი, ქვევრის ღვინის დღეს არსებული ტექნოლოგია ვერ უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი პროდუქციის მიღების შესაძლებლობას.

● ქვევრის ღვინის ხარისხის გაუმჯობესებისა და ტექნოლოგიის სრულყოფის მიზნით, ეთხოვოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

ღვინისა და ჭაჭის არყის სამეცნიერო ცენტრი;

4. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპი ხსიათდება იმით, რომ სახელმწიფო თანდათანობით აღარ თვლის თავისი განსაკუთრებული პასუხისმგებლობის სფეროდ სამეურნეო საქმიანობის ბევრ სახეობას და მათ შორის, პირველ რიგში, ინოვაციურ სექტორებში, რომლებიც ტრადიციულად მის განკარგვაში იმყოფებოდა. ამ პირობებში გამოიყენება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის (სკპ) მექანიზმი, რომელიც გულისხმობს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციას ტექნოპარკების სახით და წარმოადგენს სა-



გამოიყოს სახსრები საქართველოში მინისზედა ქვევრების შექმნის და წარმოებაში დანერგვის მიზნით.


3. გასულ წლებში საქართველო აწარმოებდა 20-22 მლნ ბოთლ ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიან სასმელებს. დღეს ეს მარკენებული მკვეთრად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ იტალიაში ალკოჰოლიანი სასმელი გრაპა ფართოდ გავრცელდა მთელს მსოფლიოში და მნიშვნელოვანი შემოსავალი შეაქვს სახელმწიფოს ბიუჯეტში. გრაპას წარმოების მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეს იტალიაში ემსახურე 5 ნაციონალური ინსტიტუტი.

● ეთხოვოს საქართველოს მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს, ქართული ჭაჭის არყის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და მსოფლიო ბაზარზე მისი ცნობადობის გაზრდის მიზნით, კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტთან შეიქმნას

მეცნიერო-საწარმოო გაერთიანების პროგრესულ ფორმას ინოვაციური ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად და წარმოებაში დასახერგად.

● აგრარულ სფეროში არსებული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირების, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და სამრეწველო მასტებით რეალიზაციის სტიმულირების მიზნით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კვების მრეწველობის სამეცნიერო – კვლევითი ინსტიტუტის ბაზაზე უნდა დაფუძნდეს მეცნიერების, განათლებისა და წარმოების ინტეგრაციის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მსოფლიო აღიარებული ფორმა – **აგროტექნოპარკი;**

5. აგროტექნოპარკების საქმე აქვთ ორი ტიპის საწარმოებთან: სასოფლო-სამეურნეო საწარმოები (ფერმერული მეურნეობები) და სასოფლო-



სამეურნეო ნედლეულის გადამამუშავებელი და კვების მრეწველობის საწარმოები.

სოფლად ინოვაციური ტექნოლოგიების კომერციალიზაციის მიზნით საჭიროა მივმართოთ ისტორიულ მემკვიდრეობას: 70-იან წლებში ეპროპაში ჩამოყალიბებული ეკონომიკური კრიზისის პირობებში ფართო გავრცელება პოვა ადგილობრივი ზრდის თეორიამ, რომლის თანახმად, რეგიონის განვითარება და მოკიდებულია მის უნარზე რეაგირება მოახდინოს სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესზე და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე.

- ბოლო წლების გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სოფლად კოოპერატივების ჩამოყალიბებას ამჟამად არანაირი პერსპექტივა არ გააჩნია. შექმნილ მდგომარეობაში ერთადერთ გამოსავლად გვესახება აგროტექნოპარკების შექმნა. კოოპერატივებისაგან განსხვავებით (რომლისთვისაც ჯერ მზად არ არის საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორი, ამასთან, კოოპერატივში არანაირი პირობები არ არსერბობს ინოვაციური ტექნოლოგიების დასანერგად), ტექნოპარკისათვის ძირითადია შემდეგი პრინციპი: გლეხი (ფერმერი) არ უნდა იყოს მხოლოდ ნედლეულის მომწოდებელი, არამედ მას უნდა შექმნას პირობები ამ ნედლეულიდან პროდუქციის ან ნახევარფაბრიკატების საწარმოებლად. მასთან ანგარიშსწორება ხდება ადგილზე – პროდუქციის (ნახევარფაბრიკატის) ჩაბარებისთანავე. ინოვაციური ტექნოლოგიების გამოყენებით კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნაში მას ეხმარე-

ბა ტექნოპარკი, რომელიც სოფლად ქმნის შესაბამის კლასტერებს. რაც შეეხება მეცნიერებატევად საბოლოო პროდუქტებს, მათი გადამუშავება მოხდება ტექნოპარკის ცენტრალიზებულ ქარხნებში.

6. თეთრინყაროში მიმდინარეობს კვების მრეწველობის ს/კ ინსტიტუტის ექსპერიმენტული ქარხნის მოდერნიზაცია, მრავალპროფილიანი თანამედროვე ექსპერიმეტნტული საწარმოს შექმნის მიზნით.

● ეთხოვოს რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, უზრუნველყოს აღნიშნული ქარხნის თანამედროვე დანადგარ-მოწყობილობებით აღჭურვა.

7. სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელ ნებისმიერ საწარმოს შეეძლება დადოს აგროტექნოპარკთან ხელშეკრულება 5 წლის ვადით ინსტიტუტის მიერ შექმნილი, ან მენარმის მიერ შემოთავაზებული ინოვაციური ტექნოლოგიის დანერგვაზე. ამ პერიოდის განმავლობაში ის სარგებლობს საინოვაციო საქმიანობის სპეციალური რეჟიმით, რომელიც გულისხმობს მთელ რიგ შეღავათებს მსოფლიო ბაზარზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის საწარმოებლად.

● ეთხოვოს საქართველოს პარამეტრებს, განიხილოს და მიიღოს კანონი აგროტექნოპარკების საინოვაციო საქმიანობის სპეციალური რეჟიმის შესახებ;

8. საქართველოს კვებისა და გადამუშავებელ მრეწველობაში დღეს არსებული ტექნოლოგიები და პროდუქტები ძირითადად შექმნილია

საბჭოთა პერიოდში, და ამ ტექნოლოგიებს უსასყიდლოდ იყენებენ მენარმეები. საქართველოს დამოუკიდებლობის პირობებში ქვეყანაში არ შექმნილა არც ერთი ინოვაციური პროდუქტი ან ტექნოლოგია, რომელიც თავის ასახვას პოვებდა ქვეყნის საექსპორტო პოტენციალში, ასალგაზრდობა არანაირ ინტერესს არ იჩინს სამეცნიერო საქმიანობის მიმართ, კვლევით ინსტიტუტებში არსებული უკადურესად დაბალი ხელფასების არსებობის გამო.

● მეცნიერული საქმიანობის სტიმულირების, ახალგაზრდა კადრების ინოვაციურ საქმიანობაში ჩართვის და საამისოდ შესაბამისი სახსრების აგროტექნოპარკში მოზიდვის მიზნით, რეკომენდებულია საქართველოში წარმოებული კვების პროდუქტების თვითღირებულებაში შეტანილ იქნას მუხლი „მეცნიერების გადასახადი“, და ეს სახსრები მოხმარდეს მეცნიერთა სოციალური დაცვის, ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნისა და რეალიზაციის საქმეს.

იმასაც მინდა ხაზი გავუსვა, რომ აგრარული მეცნიერების დღევანდელი მდგომარეობა იმ ხმელ-ნედლ ჯირკვეს მოგვაგონებს, რომელიც არც სანერგედ ვარგა და არც საცეცხლედ გამოგვაგება. კერძოდ, მეცნიერული სიახლეების ქვეყნის მასშტაბით დანერგვისა და გავრცელების ნაცვლად, დღეს საამისოდ შექმნილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია ვერანაირ მონაწილეობას ვერ იღებს აგრარულ მეცნიერებაზე გამოყოფილი სახსრების რაციონალური გამოყენების საქმეში. დროა აკადემიას მიეცეს იმის შესაძლებლობა, რომ უშუალოდ მართოს ინოვაციური ტექნოლოგიების შექმნასა და წარმოებაში დანერგვაზე გამოყოფილი სახსრები. საამისოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია აკადემიის შეყვანა უშუალოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ან მისი ორმაგ დაქვემდებარებაში – გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს – ყოფნა.

**ნუზზარ ბაზარიზაბადი,**  
კვების მრეწველობის  
სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის  
დირექტორი, აკადემიკოსი

# ვაზის სოკოვანი და ვადებები და ზამთრის პერიოდში მათთან პროცესის მომღერლები

ვაზისა და ზველა სახეობის ხეხილის მრავალნაირ დაავადებებს შორის ზველაზე გასობრივი სოკოვანი დაავადებებია, რომელიც ძალის არსა-ვალზე მიმდინარეობს. ამ ზველის შემთხვევაში მიმდინარეობს არა უფრო მაღალი ვაზის და ხეხილის შესაძლებელი დაავადებები, რომელთა ცინაა და გამოიყენება, ისე ხარისხი.

სოკოვან დაავადებათა წინააღმდეგ პროცესის მრავალი ხერხი არსებობს, რომელთაგან ყველაზე გავრცელებული ვაზისა და ხეხილის შესაძლებელი და უფრო დაავადებათა წინააღმდეგ გამოიყენება.

ხეხილის წამლობის დროს ძირითადი ყურადღება წამლობის რაოდენობას და ვადების დაცვას უნდა დაეთმოს, რადგან ზედმეტად შენამღებული ვაზი, ეს ზედმეტი შესამია ნაყოფზე, ასევე ზრდის ყურძნისა და ხილის თვითლირებულებას. დღეს, არის პროგრესულ მეურნეობა ნაწილი (დასავლეთში), რომლებიც წამლობის არანაირ ვადებს არ ცნობენ და ხეხილის წამლობას მაშინ ატარებენ, როცა ბალ-ვენახში დაავადების კვალს შეამჩინევენ. ხეხილის წამლობის ასეთი მეთოდი იმ შემთხვევაშია გამართლებული, როცა მეურნეობაში დაავადებათა კონტროლი მაღალ დონეზეა დაყენებული, ამ გზით ვაზის სეზონზე შეიძლება 2-3 წამლობა აარიდოთ, რაც ყოველ მხრივ გამართლებული და მომგებიანია. ვაზის და სხვა სახის ხეხილის დაავადების მიმართ ასე იქცევა დასავლეთის ქვეყანების ბევრი მეურნე და დიდ წარმატებასაც აღნიშვნელობს, როგორც მოსავლის სისუფთავის, ისე ყურძნისა და ხილის თვითლირებულების შემცირების კუთხით, რაც ქართველი მეურნისათვის მისაბაძი მაგალითი უნდა გახდეს. სწორედ ამ მიზნით რგავენ ევროპაში ვენახების გვერდით ვარდებს და სხვა ისეთ მცენარეებს, რომლებიც ვაზზე ადრე ავადდებიან ჭრაქით და ხეხილის სხვა დაავადებით, რაც სიგნალია მეურნისათვის, რომ ბალის შენამღლის დროა.

როგორც ცნობილია, სოკოვანი დაავადების გავრცელებისათვის ხელის შემწყობი პირობები წვიმა, ნისლი და 22-25 გრადუსი სითბოა, ამიტომ თუ ასეთი ამინდები არ დგას,

მაშინ გამართლებულია დაავადებათა კონტროლი და მხოლოდ დაავადების შემჩინევის შემთხვევაში, ვაზის დაუყოვნებლივ შენამვლა.

ხშირია შემთხვევა, როცა მეურნეს ბალის შენამღლათა რაოდენობა უნდა შეამციროს და ამ მიზნით ვაზის შენამვლას რამდენიმე პრეპარატის ნაზავით ახდენს, ამ დროს, უნდა გაითვალისწინოთ პრეპარატთა ურთიერთთავსებადობა, რათა პრეპარატები ერთმანეთთან რეაქციაში არ შევიდეს და დაავადების წინააღმდეგ მათი ძალების გაერთიანების ნაცვლად, ერთმანეთი არ დაასუსტონ.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს პირველი წამლობის დროის ზუსტ განსაზღვრას, საქართველოს სინამდვილეში პირველ წამლობას ტრადიციულად ყლორტზე 4-6 სრული ფოთლის ფაზაში ატარებენ. დასავლეთის ქვეყნებში კი ეს მეორე წამლობაა, პირველი კი ვაზისა და ხეხილის შტამბს გვიან შემოდგომაზე, ზამთარში ან ადრე გაზაფხულზე სითბოს დადგომიმდე უტარებენ, ამ წამლობით კი შეიძლება დანარჩენ წამლობათა დროისა და რაოდენობის განსაზღვრა, ანუ მწვანე მასის შენამვლა 4-6 სრული ფოთლის ფაზაში კი

არა, ვაზის ყვავილობის წინ ან შემდეგ დაგჭირდეთ.

ყველა მეურნე-მევენახემ იცის, რომ ვაზის შტამბი და მრავალნლიანი მკლავები დაფარულია ძველი ქერქით და ნაპრალებით, სწორედ ამ კანქვეშ და ნაპრალებში იზამთრებს ვაზის დაავადებათა გამომწვევი ყველანაირი ბაქტერიები, სოკოს სპორები, ვირუსები და მავნებლები, სწორედ აქა მათი კვერცხები. დღემდე მეცნიერება და პრაქტიკოსი მევენახეს სპეციალისტები მევენახეს ურჩევენ, რომ ვაზის ძველი კანი გააცალონ და ვაზის მავნებლებს გამოსაზამთრებელი ბუდე მოუსპონ. ასეთი რჩევების გაცემა და მით უმეტეს მევენახის მიერ მისი შესრულება, პირადად არასწორად მიმართია და მოგიწოდებთ, მავნებლებს ეს ბუდეები კი არ მოუშალოთ, პირიქით, ახალი უნდა მოუწყოთ, რომ არც ერთი მათგანი სხვაგან არ წავიდეს გამოსაზამთრებლად და ყველამ თქვენი ხეხილის შტამბზე დაიბუდოს. ამ შემთხვევაში თქვენ იცით სად არიან ისინი, რით და როგორ გაანადგუროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვაგან გამოიზამთრებენ და გაზაფხულზე თბილი ამინდების დადგომისთანავე, შეესევიან თქვენ ბალს.

ვაზის შტამბზე ძველი კანის შეცლა, ჩვენი წინაპრის მიერ გადმოცემული ვაზის მოვლის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა, მაგრამ ჩვენ ის პირდაპირი მნიშვნელობით გავიგეთ და დაივიწყეთ მთავარი, ანუ ის, თუ როგორ და როდის უნდა გაკეთდეს





ეს. ასევე, სად უნდა ნაიღოთ ვაზზე გაცლილი კანი. ჩვენს ახლო წინაპარს შტამბის შესანამლი პესტიციდები არ ჰქონდათ, რომ შტამბი ეფექტურად შენამლათ და მით ვაზის შტამბზე გამოსაზამთრებლად დაბუდებული მავნებლები დაეხოცა. ჰქონდათ გოგირდი, რომლის ვაზის შტამბზე შეფრქვევას ისე ვერ ახერხებდნენ, რომ მავნებელთა უმრავლესობა დაეხოცათ, ამიტომ ზამთრის დღეებში ახდენდნენ ვაზის შტამბის ძველი კანისგან განმენდას. ჩემს ბავშვობაში ვენახში ეს ოპერაცია შემდეგნაირად ტარდებოდა: ამ სამუშაოს ზამთრის თბილ მზიან დღეს ვატარებდით, ვაზის ძირში ტილოს ნაჭერს დავფენდით და ვიწყებდით ძველი კანისგან შტამბის განმენდას, გაცლილი კანი ტილოზე იყრებოდა, შემდეგ კი ერთ ადგილზე ვაგროვებდით, და ვწვავდით. ამ ოპერაციას ძირითადად კოლმეურნების ვენახებში ვატარებდით. შემდეგ წლებში გოგირდის მოტანა დაინტეს და ვაზის შტამბზე კანის შეცლის სანაცვლოდ ადრე გაზაფხულზე, ვაზის შტამბს გოგირდს ვაფრქვევდით. ასე, რომ ვაზის შტამბზე ამ ოპერაციის ჩატარებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ამ ოპერაციას ზამთარში ჩატარებთ, ხოლო ვაზზე გაცლილ კანს დაწვავთ, რომელთან ერთადაც იმ მავნებელთა უმრავლესობაც დაინტება, რომლებიც კანქეშ ბუდობენ. დღეს კი ჩვენ მრავალნაირი პრეპარატი გავაქს ამ მავნებლების გასანადგურებლად, ამიტომ ჩვენი ამოცანა იცვლება და ძველი კანი, ვაზს კი არ უნდა გავაცალოთ, არამედ ბევრი სხვაც უნდა დავამატოთ, რომ ყველა მავნებელმა და დაავადებათა გამომწვევმა ბაქტერია-ვირუსმა და სოკოს სპორებმა, გამოსაზამთრბლად ჩვენი ვაზის შტამბი აირჩიოს, რადგან დღეს, მათ-

თან ბრძოლის უამრავი საშუალება მოგვეპოვება.

სამწუხაროდ, საქართველოში ვაზის შტამბზე ამ ოპერაციას (შენამვლას), გარდა იშვიათი გამონაკლისისა არ მიმართავენ, რაც დიდი შეცდომაა, ამ შეცდომის შედეგი კი სეზონის განმავლობაში ვაზის 12-15-ჯერ შენამვლაა, რაც ძვირიც ჯდება და ყურძნის მტევნები პესტიციდებით მრავალჯერადად სველდება.

მევენახეთა უმრავლესობა გაზაფხულზე მიმართავს კვირტის ჭიაზე ვაზის შტამლას, ეს კი მაშინ ხდება, როცა კვირტის ჭია ვაზზე ასული, ანუ კვირტს შეესია. ამ შტამლის შედეგი კი ნახევარზე მეტი გადარჩენილი მავნებელია, არადა ეს მავნებელი, ზამთარში ვაზის შტამბზე გიზის, მიღი და სხვა დანარჩენ მავნებლებთან ერთად გაანადგურე. გარწმუნებთ, თუ ვაზის ან ნებისმიერი ხეხილის შტამბის წამლობას აპერატულად ჩატარებთ, მეორე წამლობა ვაზის მაისის ბოლოს ან იგნისის დასაწყისში დაჭირდება და სეზონი შეიძლება 3-4 წამლობით დაამთავროთ. დასავლეთი და ამერიკა, სწორედ ასე იქცევა, რითაც თანხასაც დიდს ზოგაცს და გაცილებით სუფთა მოსავალს იღებს, ვიდრე ქართველი მევენახე.

აქვე მინდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ შენამვლას ტრაქტორით მოახდენთ შტამბზე და მელავებზე ბევრი მშრალი ადგილი დაგრჩებათ, ეს კი იქ დაბუდებული მავნებლების გადარჩენას ნიშანვს, ამიტომ ზამთრის განმავლობაში დრო ბევრია და ეს ოპერაცია აუჩქარებლად ზურგზე მოსაკიდებელი აპარატით ისე უნდა გააკეთოთ, რომ ვაზის შტამბი და მელავები მთლიანად დაასველოთ. შენამვლის დროს სარწყავი მაშინის მფრქვევანა დაბალ წნევაზე უნდა ამუშაოთ, რაც ბევრ პრეპარატს დაგიზოგავთ. ამის

შემდეგ კი კარგ შედეგს ვაზზე დაკვირვება და დაავადების გაჩენის შემთხვევაში ვაზის შენამვლა იძლევა.

ცხადია, შტამბისა და მელავების შენამვლის გარეშე დარჩენილ ვაზს შემდგომი წამლობა მეტი უნდა, რომელთა რიგითობას დღეს მეურნეთა უმრავლესობა აღარ წნობს და სეზონზე შენამვლათა რაოდენობა იცამდეც კი აღნევს. არადა პირადად ვარ იმ დროს შესწრებული, როცა ვაზი, სამი წამლობით იძლეოდა მოსავალს.

ვაზს შენამვლა ყურძნის დამწიფების შემდეგაც შეიძლება დასჭირდეს, რადგან ხშირია მწიფე ყურძნი ლპობას იჩყებს. თუ ასეთი წამლობა საჭირო გახდა, ის აუცილებლად წყალბადის ზეუანგით ან ოზონირებული წყლით უნდა ჩატაროთ, რადგან ეს პრეპარატები რამდენიმე საათში წყლად და უანგბადად იძლებიან და მტევნაზე ნაშთად არ დარჩება.

ბოლო ორი ათეული წელი საქართველოს მეღვინეობამ მსოფლიო ღვინის ბაზარზე გასვლა დაიწყო. იქ კი უდიდესი ყურადღება ღვინის სისუფთავეს ექცევა. არა მგონია სეზონზე 15-20-ჯერ შენამლულმა ვაზმა ისეთი ყურძნი მოგცეს, მისგან დაყენებულმა ღვინინმ ევროპის ბაზარზე, რომ გაიტონოს თავი, ამიტომ ქართული მეღვინეობა ბევრს მოიგებს თუ მევენახე ვაზის შტამბზე გიზის, მიღი და სხვა დანარჩენ მავნებლებთან ერთად გაანადგურე. გარწმუნებთ, თუ ვაზის ან ნებისმიერი ხეხილის შტამბის წამლობას აპერატულად ჩატარებთ, მეორე წამლობა ვაზის მაისის ბოლოს ან იგნისის დასაწყისში დაჭირდება და სეზონი შეიძლება 3-4 წამლობით დაამთავროთ. დასავლეთი და ამერიკა, სწორედ ასე იქცევა, რითაც თანხასაც დიდს ზოგაცს და გაცილებით სუფთა მოსავალს იღებს, ვიდრე ქართველი მევენახე. შესანამლი საშუალება წყალბადის ზეუანგის 02%-იანი ხსნარი ან ოზონირებული წყალი უნდა იყოს, რაც იაფიცაა, უფექტურიც და ეკოლოგიურად სუფთაც. მეორე და შემდგომი წამლობები კი მხოლოდ და მხოლოდ მიზნობრივი უნდა იყოს და როცა შეამჩნევთ ვენახში დაავადების ნიშანს წამლობა 02-03%-იანი წყალბადის ზეუანგის ხსნარი ან ოზონირებული წყალი უნდა გაატაროთ. ასე, რომ სეზონი შეიძლება ვაზის 3-5-ჯერ შენამვლით დაამთავ-

როთ. ანუ ამიერიდან მევენახებ უარი უნდა თქვას ყველანაირი შხამქიმიკატის გამოყენებაზე და ისე, როგორც ევროპა საქართველოც დროზე უნდა გადაიდეს მათ შემცვლელ ეკოლოგიურად სუფთა პრეპარატებზე, ასეთებია: კოლოიდური ვერცხლი, ოზონირებულ წყალი და წყალბადის ზეუანგის შესაბამისი კონცენტრაციის სნარები. ეს საშუალებები ეფექტურიცაა ეკოლოგიურად სუფთა და

ბევრჯერ იაფი იქნება თანამედროვე  
პესტიციდებთან შედარებით.

ვაზისა და ყველა სახის ხეხილი შტამპის შენამვლა დღეიდან მარტის სითბოების დადგომამდე ყოველთვის შეიძლება, ამიტომ მეურნეებ ამისთვის ზამთრის თბილი დღეები უნდა გამოიყენოს. დღეს წყალბადის 3%-იანი კონცენტრაცი 100 მილილიტრიან შუ-შებში გამოდის და აფთიაქში იყიდება, საბოლოოდ ძვირი გამოდის, ამიტომ

მწარმოებელთან მივაღწიე შეთანხმებას და 3%-იან კონცენტრატს ერთ და ხუთ ლიტრიან ტარაში ჩამოასხამს, ეს კი მის ღირებულებას საგრძნობლად შეამცირებს.

ଆମ୍ବା ହାତରିଦିଲା  
ନାହେବାର୍ଗାମତ୍ରାରତା ଫୋଟିକୁଳ  
କୁଳ ନିବେଶିତୁଥିଲା ଉତ୍ତରାଷ୍ଟ୍ରୀ ମେଚ୍ଚିନୀର-  
ତାନାମଶ୍ରାନ୍ତିମ୍ବେଲୋ ସାଫ୍. ଏରାବନ୍ଧୁଲୀ  
ଅକାଧ୍ୟମିଳିଲା ଅକାଧ୍ୟମିକୁଳୋ.  
ତେଣୁ ଶ୍ରୀକୃତବ୍ୟବେଳିକାଳୀତ୍ବରେ 551 333 155.

ଭାବନା

# აკადემიკოსი გივი ჯაფარიძე - 80

## გამოჩენილი ხასიათი და სამაგილითო ორგანიზაციები

ეპონომიკის გაცნიერებათა დოკუმენტი, აროვასორის, საქართველოს ცენტრულის გაურკვეობის გაცნიერებათა პაკადების პროცესზეცამა, პაკადების გვივი ჯა-ფარიდამ დიღი სანია მოისვეხა აღიარებული და გამოჩენილი გაცნიერის სახე-ლი; განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მოღვაწეობა სატყოო გაურკვეობისა და სატყოო საძმის ეპონომიკის სფეროში. დაგენერირებით უძღვით ითვას, რომ იგი ამ დარღვი საქართველოში ერთ-ერთი თვალსაჩინო გაცნიერია.



ბატონი გივი დაიბადა 1944 წლის 6 იანვარს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1950 წელს სასწავლებლად შევიდა ქ. თბილისის პირველ საშუალო სკოლაში, სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის 61-ე საშუალო სკოლაში, რომლის დამთავრების შემდეგ 1961 წლიდან მუშაობა დაიწყო ქ. თბილისის სა-ავეჯო კომპინატში ჯერ მოსწავლედ, შემდეგ ფანერის ამწყობად. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სასოფ-ლო-სამეცნიერო ინსტიტუტის დაუს-წრებელი სწავლების განყოფილების სატექნიკურო-მეცნიერობის ფაკულტეტზე.

1975 წელს დაუსწრებლად დაამ-  
თავრა საქართველოს მეცნიერებათა  
აკადემიის სამთო მეტყევეობის ინს-  
ტიტუტის ასპირანტურა.

1978-85 წლებში არჩეული იყო საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტიული კომიტეტის მდინარე. ამასთან ერთად 1978 წლიდან 1996 წლამდე შეთავსებით მუშაობდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის, შემდგომში აგრარული უნივერსიტეტის სატყეო ეკონომიკისა და ტყის ტაქსაციის კათედრაზე უფროს მეცნიერ მუშაკად, მასნავლებლად, უფროს მასნავლებლად, დოკონტად, სრულ პროფესიონალ.

მუშაობის პარალელურად 1981 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელმობის ქ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაუსწრებელი

სწავლების განყოფილების სამართლისმცოდნეობის ფაკულტეტი – იურისტის კვალიფიკაციით.

1983 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნი-ერო ხარისხი, ხოლო 1985 წელს დო-კტორის სამეცნიერო წოდება.

6. ქართველი მეცნიერების მიერ შემუშავებულია, ჩაის კულტურის გაშენების, მოვლა-მოყვანის, კრეფის და ტრანსპორტირების მექანიზაციის საშუალებები. ასევე, დამუშავებულია ჩაის ნედლეულის გადამუშავების, დახარისხების და დაფასოების ტექნოლოგიები;

7. მეჩაიერების სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველო ტერიტორიულად ახლოსაა, ჩაის ძირითად მომხმარებელ ქვეყნებთან, რის გამოც შესაძლებელია პროდუქციის მიწოდება დაყოვების გარეშე, არომატისა და სარისხის შენარჩუნებით;

8. ფაო-ს მონაცემებით მსოფლიოში ჩაიზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება, რის გამოც, გარანტირებულია ჩაის წარმოების ხანგრძლივადიანი ტენდენცია.

ზემოთ აღნიშნულიან გამომდინარე, საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების შენარჩუნება, ახალი პლანტაციების გაშენება და კონკურენტუნარიანი პროდუქციის გამოშვება-რეალიზაცია აუცილებელია, რისთვისაც საჭიროა:

1. საქართველოს მთავრობამ, სხვა კულტურების პარალელურად, ჩაის კულტურის მიმართ გამოხატოს სახელმწიფოებრივი პოზიცია და იგი მეჩაიერების რაიონებისათვის პრიორიტეტულ დარგად აღიაროს;

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს განკარგულებით, ჩატარდეს ჩაის პლანტაციებისა და გადამამუშავებელი საწარმოების აღწერა-ინვენტარიზაცია. დადგინდეს ფოთოლსაკრეფი, პერსპექტიული და უპერსპექტიული ჩაის პლანტაციების ფართობები, უპერსპექტიული ჩაის პლანტაციები ჩამონიეროს და გამოთავსუფლებული ფართობები, გაკულტურების შემდეგ გამოყენებულ იქნას ჩაის ახალი პლანტაციების გასაშენებლად. ანალოგიურად დადგინდეს არსებული ჩაის ფართიკების ვარგისანობა;

3. ფოთოლსაკრეფი და აღსადგენი ჩაის პლანტაციების მესაკუთრეებმა უზრუნველყონ სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მათი მხოლოდ დანიშნულებით გამოყენება და აიკრძალოს ჩაის პლანტაციების უნებართვოდ ამოძირება-განადგურება;

4. პერსპექტიული ჩაის პლანტაციების მქონე ფერმერების, მესაკუთრეებისა და ჩაის გადამამუშავებელ საწარმოების მიმართ, განეულ იქნას ფინანსური დახმარება, ან გაიცეს შედავათიანი კრედიტი ჩაის პლანტაციების აღდგენა-რეაბილიტაციისათვის, მხოლოდ ხარისხიანი ნედლეულის დამზადების მიზნით. ხოლო, გადამამუშავებელ საწარმოებს მიეცეს კრედიტი თანამედროვე ტექნოლოგიური დანადგარების აღჭურვისათვის და მცირე საწარმოების შესაქმნელად;

5. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჩაის მწარმოებელ და გადამამუშავებელ საწარმოებს გაუწიოს დახმარება ჩაის პროდუქციის რეალიზაციის მიზნით სათანადო ბაზრის მოძიების საქმეში. პარალელურად განახორციელოს ღონისძიება ქვეყნის მოსახლეობის, ჯარის და საჯეოლასრულების დაწესებულებების სამამულო ჩაით მომარაგებისათვის. ამასთან აიკრძალოს ან შეიზღუდოს საზღვარგარეთიდან დაბალი ხარისხის მქონე ჩაის პროდუქციის იმპორტი, მასზე საბაჟო გადასახადების გადიდებით, როგორც ეს სხვა ქვეყნებშია;

6. ჩაის აღდგენა-რეაბილიტაციის მიზნით გამოიყოს მთავრობის კომისია მეცნიერების, ჩაის დარგის სპეციალისტების, ჩაის წარმოების მხარდამჭერთა და ოპონენტების მონაწილეობით.

ამგვარად, საქართველოში ჩაისა და ციტრუსების კულტურებმა, უნდა დაიკავონ პრიორიტეტული ადგილები, ვინაიდან აღნიშნული კულტურების პროდუქციაზე ყოველთვის იყო და მომავალშიც იქნება პაზრის მოთხოვნა. მეჩაიერების აღდგენით მნიშვნელოვნად გადაწყდება ჩაის რეგიონებში რთული სოციალური საკითხები, როგორიცაა შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება, ადგილობრივი და ქვეყნის ბიუჯეტის შევსება. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ახლო წარსულში ჩაის დარგი რესპუბლიკის კეთილდღეობის განმსაზღვრელი იყო, ხოლო მისგან მიღწეული შემსავალი ქვეყნის ბიუჯეტის მეხუთედს შეადგენდა.

**თავაზ გვარი,**  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, საქართველოს  
საინიცირო მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი;

**ნუზგარ მაპარიძე,**  
ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, ცხუმ-აფხაზეთის  
მეცნიერებათა აკადემიის  
აკადემიკოსი, ხოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო კვლევითი ცენტრის,  
ავროსაინიცირო კვლევის  
სამსახურის უფროსი;

**გამა გოგიანი,**  
სწავლული აკრონომი,  
სოფლის მეურნეობის ექსპერტი

# გამსვლალი სამაცნერო ექსპიცია კუმისის ეფუძნელების ფარიკაში

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის აკადემიის ორგანიზაციით, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის აკადემიის არაეზობილობით არსებული სამაცნერო საბჭომ კუმისის მეცნიერების განვითარების სამაცნერო ექსპიცია მოაწყო.

**ექსპედიციას აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, აკადემიკოსი ელგუჯა გუგუშვილი ხელმძღვანელობდა.**

**ექსპედიციაში მონაწილეობდნენ:** აკადემიკოსები: ე. გუგუშვილი, ზ. ჩაქეშელიანი, პროფ. ი. სარჯველაძე, პროფ. თ. არეშიძე, აკადემიის სტიპენდიატი: ზ. ტიგინაშვილი. კუმისის ფაბრიკისა და მფუძნებელი თ. ედმერიაშვილი და ფაბრიკის მთავარი ვეტერინარი ლ. ოქრიაშვილი.

ფაბრიკის საქმიანობაზე, არსებულ მდგომარეობასა და პერსპექტივებზე ისაუბრა აკადემიკოსმა ელგუჯა გუგუშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ფაბრიკა სამომხმარებლო ბაზაზე 2005 წლიდან არის წარმოდგენილი. ფაბრიკის სლოგანია კუმისი ერთ ნაჭუჭში ჩატეული ბედნიერება. თანამედროვე დონეზე აღჭურვილი საწარმოს საქმიანობაა ქათმის კვერცხის წარმოება 12 ჰექტარზე განლაგებული ფაბრიკა მდებარეობს გარდაბნის რაიონის, სოფელ კუმისში, რომელიც თბილისიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 17 კილომეტრით არის დაშორებული.

ფაბრიკის დამფუძნებელმა ბატონმა თამაზ ედიშერაშვილმა აღნიშნა, რომ საწარმოში ფუნქციონირებს 15 საფრინველე მ.მ. 12 საწარმოო ფრინველისათვის და ასევე 3 საწილე-გამოსაზრდელი წინილებისათვის. წინილის გამოზრდა მიმდინარეობს 15 კვირა. კვერცხის დადება იწყება 20 კვირის ასაკიდან. საფრინველეში ფრინველი 60 კვირას ატარებს.

ფაბრიკის თანამედროვე სტანდარტები ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს ფრინველის კვებას, წყლით მომარაგებას, ავტომატურია საფრინველეში კლიმატის კონტროლი (ჰაერის ტემპერატურა, ტენიანობა, ჰაერის მოძრაობის სისწრაფე) და კვერცხის აკრეფა.

დანადგარები, სადაც იმყოფება ფრინველი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტების მოთხოვნებს. მაღალი ხარისხის მარცვლეულის საკვებად გამოყენება და წარმოების მუდმივი კონტროლი საშუალებას აძლევს ფაბრიკას უმაღლესი ხარისხის პროდუქცია – ქათმის 0, 1 და II კატეგორიის კვერცხი ანარმოოს. კუმისის მეფრინველეობის ფაბრიკამ რამდენიმეჯერ გაიარა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შემოწმება და დადასტურდა წარმოების მაღალი დონე.

ფაბრიკა დაჯილდოებულია ევროპის ხარისხის ორგანიზაციის 117-ე გენერალური ასამბლეის ეგიდით გამართულ ცერემონიაზე ხარისხის ნიშნის სერტიფიკატით და მისი პროდუქცია შეტანილ იქნა „The Best Quality of Georgia“-ს კატალოგში როგორც ეკოლოგიურად სუფთა და ხანსაღ პროდუქტს. კომპანია 2016 წლიდან ფლობს ISO 22 000 კატეგორიის სერტიფიკატს, რომელიც ადასტურებს მენეჯმენტის გამართულ მუშაობას და წარმოებული კვების პროდუქტების უსაფრთხოების ნორმების მკაცრად დაცულობას.

ფაბრიკამ მიმდინარე წელს წარმოებაში გაუშვა ახალი პროდუქტი „კუმისის ფერმერის „სახელწოდებით, რომელიც ფაქტობრივად, ისეთივე კვებითი ღირებულებების მატარებელია, როგორიცაა სოფლის კვერცხი. ფრინველს განსხვავებული საკვები მიეროდება, სპეციალური ცილოვანი დანამატებით. ფრინველის კვების რაციონში შედის სიმინდი, ხორბალი და ქერი. რაციონიდან ამოღებულია ყველა ქიმიური დანამატები, რაც კვერცხის შემადგენლობას განსაკუთრებულს ხდის, გამოიყენება მხოლოდ ბუნებრივი წყალი, რომელიც იყილტრება მხოლოდ ბუნებრივი წყალი, რაციონიდან ფილტრებით. ფრინველი იმყოფება თავისუფალ გარემოში. მომხმარებელმა ეს პროდუქტი კარგად მიიღო და მოთხოვნებიდან გამომდინარე ფაბრიკა მისი წარმოების ზრდას გეგმავს.

ფაბრიკის საქმიანობაში კვერცხის მაღალი ხარისხი ყველაზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მომხმარებელს სთავაზობს მუდამ ახალ, ეკოლოგიურად სუფთა და ჯანსაღ პროდუქტს. მისი უნიკალურობა დადასტურებულია სხვადასხვა ტიპის დასკვნებითა და ლაბორატორიული კვლევებით.

ფაბრიკა პროდუქციის რეალზაციას ახდენს, კუთვნილი ავტომობილებით. ფაბრიკას აქვს სადისტრიბუციო ქსელი მთელი ქვეყნის მასშტაბით (აჭარა, იმერეთი, გურია, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, ქვე-





მო ქართლი და შიდა ქართლი), რაც პროდუქტის სწრაფ და შეუფერხებელ მიწოდებას უზრუნველყოფს.

ფაბრიკის მთავარმა ვეტერინარმა ლალი ოქრიაშვილმა ისაუბრა ქათმის დაავადებებზე, მათ გამომწვევ მიზეზებზე, პროფილაქტიკურ ღონისძიებებსა და კვერცხის დადგინდებით მიწვნელობაზე. აღნიშნა, რომ კვერცხი ძალაში სასარგებლო პროდუქტია, იგი შეიცავს ორგანიზმისათვის აუცი-

ლებელ სასარგებლო ნივთიერებებს: პროტეინებს, B1,B2,D,E,K,PP ვიტა-მინებს, მინერალურ ნივთიერებებს, არეგულირებს ფოსფორის დონეს ორგანიზმში, მდიდარია გლუკოზით, ამაგრებს ქველებსა და კბილებს, ორგანიზმს იცავს ონკოლოგიური დაავადებებისაგან, აუმჯობესებს მეხსიერებას და მხედველობას. დადგენილია, რომ კვერცხის რეგულარულად მიღება ანელებს გონების დაბერების პროცესს. რეკომენდებულია ყველა ასაკის ადამიანისათვის. ქათმის ვარგისიანობის განსაზღვრა შესაძლებელია მისი გარეგნული ნიშნების, ზომის და ფორმის მიხედვით. არჩევენ: მრგვალი, წანვეტებული, პატარა, საშუალო და მსხვილი ზომის კვერცხებს.

ექსპედიციის მონანილებმა დაათვალიერეს ფაბრიკაში არსებული უახლესი დანადგარები, გაეცნენ კვერცხის წარმოების ინოვაციურ ტექნოლოგიებს, რომელიც სრულიად ავტომატიზებულია. ფაბრიკა იზიარებს უცხოეთის ქვეყნებში დანერგილ უახლოეს სტანდარტებს.

დისკუსიაში მონანილეობდნენ: აკადემიკოსი ზ. ჩაქერელიანი, პროფ.

ი. სარჯველაძე, პროფ. თ. არეშიძე, სტიპენდიატი ზ. ტიგინაშვილი, რომლებმაც აღნიშნეს, რომ საქართველოში მეფირინველების დარღის განვითარებისათვის საჭიროა, სანაშენებაზის შექმნა, რაც შესაძლებელია გადასახადების ლიბერალიზაციით და სანაშენებაზისათვის გრძელვადიანი, მცმილებროცენტიანი სესხების გამოყოფით.

შეხვედრის დასასრულს აკადემიკოსმა ელგუჯა გუგუშვილმა აღნიშნა რომ, კვლავ უნდა გაგრძელდეს საქმიანი ურთიერთობა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასა და კუმისის მეფირინველების ფაბრიკას შორის. აკადემიის სამეცნიერო საბჭოს წევრებმა მაღლობა გადაუხადეს ფაბრიკის თანამშრომლებს საინტერესო ინფორმაციისათვის, მათ მიერ განვითარობის მეტად მნიშვნელოვანი საქმიანობისათვის და უსურვეს წარმატებები შემდგომ საქმიანობაში.

### მოვალე გუგუშვილი,

აკადემიკოსი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის

მეცნიერებათა აკადემია

## დამხმა ფართათვის

# თესვის ვადები - რატომ არის მიმდევროვანი თესვის ვადების დაცვა

თესვის ვადების დაცვას სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოვლა-მოვანის აგროტექნიკური დიზა მიმდევროვანი აქტი, რადგან თესვის ვადების დარღვევა მოსავლიანობის შემცირების რისკს მოთიორნად ზრდის.

თესვის ვადების მიხედვით საგაზაფხულო კულტურების ყოფენ თრჯვუფად: საადრეო საგაზაფხულო კულტურები და საგვიანო საგაზაფხულო კულტურები.

საადრეო საგაზაფხულო კულტურებია, რომელთა თესლი შედარებით დაბალი ტემპერატურის პირობებში ღივდება და გარდა ამისა, მათი აღმონაცენები მცირე წაყინვას უძლებენ. ასეთებია: სიმინდი, კარტოფილი, ბამბა და სხვა.

საგვიანო საგაზაფხულო კულტურები კი თესლის გაღივებისათვის საჭიროებენ უფრო მეტ სითბოს, ხოლო მათი აღმონაცენი მცირე წაყინვასაც ვერ უძლებენ. ასეთებია: სიმინდი, კარტოფილი, ბამბა და სხვა.

როგორც ჩანს ასეთი დაჯგუფების

მთავარი საფუძველია აღმონაცენის გამდლება ნაგვიანევი წაყინვებისადმი. თუმცა არის გამონაკლი-სებიც, მაგ. მზესუმზორა, რომლის თესლის გაღივებისათვის ისეთივე სითბოა საჭირო, როგორც სიმინდისა და კარტოფილისათვის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის ადრეულ საგაზაფხულო კულტურებთან ერთდროულად, ან ხშირად ზამთრის პირასაც ითესება.

### საშემოდგომო კულტურების თესვის ვადები

აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობში საშემოდგომო პურეულების მასობრივი თესვის პერიოდი ოქტომბერია. ამ პერიოდში მინდვრის სამუშაოებისათვის და კერძოდ საშემოდ-



გომო თესვისათვის ხელსაყრელი პირობებია.

ბოსტნეული კულტურები, კერძოდ საშემოდგომო ნიორი იქტომბერ-ნოემბერში ითესება.

## თესვის წესები - რატომ არის ამის ცოდნა აუცილებელი

თესვის მრავალნაირ ფის არჩევენ. ყოველ მათგანს ამა თუ იმ კულტურის მოვლა-მოწვანის ფისგან თავისი დანიშნულება და ადგილი აპარა.

თესვის წესი ძირითადად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს – მობნევით თესვა და მწკრივში თესვა.

მობნევით თესვა უხსოვარი დროდანაა ცნობილი და ათასეული წლების მანძილზე ხელით სრულდებოდა. ამჟამად ითვლება არარაციონალურად და ვერ აკმაყოფილებს აგროტექნიკურ მოთხოვნებს. მას იყენებენ მებოსტნეობაში მხოლოდ სათბურებში ჩითილების გამოყვანის დროს.

მწკრივში თესვა მრავალგვარია: მთლიანი ანუ ჩვეულებრივი თესვა, ვიწრომწკრივად(გამოიყენება პურეულების თესვის დროს), ფართემწკრივად, ზოლური ანუ ლენტისებური თესვა, ბუდობრივი, პუნქტირული, თხემზე (ბაძოებზე), კვლებში და სხვა.

ბოსტნეულ კულტურებს თესავენ ან რგავენ შემდეგი წესით: მწკრივში, ზოლურად ანუ ლენტისებურად, კვადრატულბუდობრივად.

### თესვის სახეობები:

1. ჩვეულებრივ მწკრივად თესვა;
2. ჯვარედინი თესვა;
3. ვიწრომწკრივად თესვა;

4. ფართემწკრივად თესვა;
5. ზოლური ანუ ლენტისებური თესვა;
6. ბუდობრივი თესვა;
7. კვადრატულბუდობრივი თესვა;
8. კვადრატული ერთმარცვლიანი თესვა;
9. ერთმარცვლიანი სამკუთხოვანი თესვა.

მობნევით თესვა, როგორც ზემოთ ითქვა გამოიყენება მხოლოდ სათბურებში. მწკრივში თესვის დროს თესავენ ერთხანიად დაშორებულ მანძილზე რიგში სწორ ზედაპირზე ან ბაძოებზე.

ზოლური ანუ ლენტისებური თესვის დროს ყოველ ზოლში 2-6 მწკრივს ათავსებენ მცირე დაშორებით, ხოლო ზოლებს შორის მანძილი ფართე. ზოლური თესვა მიღებულია უმთავრესად ფეტვის, ბოსტნეული და ზოგიერთი სამარცვლე პარკოსნების თესვის დროს.

იმ ბოსტნის კულტურებს, რომელსაც სჭირდება დიდი კვების არე



ათავსებენ კვადრატებად. როდესაც რამდენიმე თესლი ერთად ითესვება ბუდობრივი თესვა ენოდება. ბუდობრივ თესვას ბევრი დადებითი მხარე აქვს – მცენარეთა მიერ კვების არის და სინათლის უკეთესი გამოყენება, თესლის ეკონომია და სხვა. მთავარი კი ის არის, რომ იგი ნათესების მოვლის მექანიზაციის დიდ შესაძლებლობას იძლევა. ბაძოებზე თესვა მისდევენ იმ ადგილებში სადაც ნალექები ჭარბია და ნიადაგში სინესტე დიდი რაოდენობით გროვდება. ხელოვნურად შემაღლებული ბაძოებიდან ზედმეტი წყალი იწრიტება, ორთქლდება და მცენარე ნორმალურად ვითარდება. ამ წესს კოლხეთის დაბლობში იყენებენ მებოსტნეობაში.

## კამელია [ჩაის ვარდი] გავალამაზოთ ჩვენი სერიალის ეზო

კამელიის სამშობლო ჩინეთი და იაპონია. ჩვეთან შავი ზღვის სანაბიროზე შემოიტავას მიერთო საუცხის აირველ ნახევარში და გავრცელდა, როგორც დეკორატიული მცენარე პატუმის გორგის გაღმის. ერთეული მცენარეები კი ცალკე საკარგიდამ ნაკვეთებზე პატუმიდან სოჭამდე.

ის კარგად შეეგუა ტენიან სუბტროპიკული ზონის კლიმატს და არ ზიანდება დამინიმუმის დროს.

კამელია კარგად იზრდება წითელ მინებზე, სუსტად გაენრებულ თიხნარ ნიადაგზე. ის ვერ ვითარდება დაჭაობებულ და ჭაობიან მძიმე თიხნარ ნიადაგზე.

კამელიას თესლი იძლევა ცხიმოვან ზეთს და აბსოლუტურად მშრალი მასიდან მისი გამოსავალი 60,32%-ს აღნევს. კამელიას თესლი ჩაის თესლზე უფრო უხვზეთოვანია.

**ბოტანიკური დახასიათება:** კამელია მუდმივ მწვანე ბუჩქია ჩაისებრთა თჰეცევა-ს ოჯახიდან, ღერო



სიმაღლით 3-5 მ-მდე აღწევს, ხასიათდება მოკლე მუხლთაშორისებით და ხშირად დატოტვილია. ფოთოლი მარტივი, მორიგეობით განყობილი, საშუალო ზომის ყუნწით, სიგრძე 2,5-5 სმ-მდეა. ფოთოლი ტყავისებრი პრიალა ზედაპირით, კიდე დაკბილული. ყვავილები უბრალოა ან ბუთხუზა, სუსტი არომატით, ყვავის ოქტომბრიდან-დეკემბრამდე. ნაყოფი მწიფებრივია მომდევნო წლის ნოემბერში, ნაყოფი კოლოფია, 1-3 ბუტიანი. მწიფენ ნაყოფი იღებს მუქ მურა ფერს.

**გამრავლების წესები:** კამელია მრავლდება თესლით და დაკალმებით. ჩვენი მუშაობის პროცესში დაგაყენეთ ცდა, შედეგმა აჩვენა, რომ უმჯობესია თესლით გამრავლება.

თესლი შეიძლება დაითესოს მუდმივ ადგილზე, ან ოთახის პირობებში და გაზრდილი 2-წლიანი ნერგები გადავრგოთ მუდმივ ადგილზე.

თესლით, ასევე კალმით გამრავლებისას საჭიროა სათესლე ბუჩქების შერჩევა, ყურადღება უნდა მიექცეს შეფოთვლის უნარს, ზრდის ენერგიას ფოთლებში, ეთერზეთების შემცველობას.


სადედე ხეებიდან თესლის აღება შეიძლება შემოდგომით, როდესაც ფიზიოლოგიურად მწიფება და ინყებს ცვენას. თესლის შეგროვება შესაძლებელია ნოემბერში და უნდა დამთავრდეს 15 დეკემბრამდე. კოლოფებს რომელშიც თესლია მოთავსებული შლიან ჩრდილში, ძლიერი გაშრობა დაუშვებელია. ჰაერ მშრალი თესლი შემოდგომით უნდა დავთესოთ, რადგანაც შემდეგ კარგავს აღმოცენების უნარს.

ჩატარებულმა ცდამ დაადგინა, რომ შემოდგომაზე დათესვით მიღებული ნათესარების აღმოცენების უნარი გაცილებით მეტია, ვიდრე სილაში შენახული თესლის გამოყენებისას.

გადარგვის დროს მცენარე, უნდა გადაირგოს ნოყიერ ნიადაგზე. გრუნტის წყლის დონე ნიადაგის ზედაპირს 1 მეტრზე მეტად არ უნდა უახლოვდებოდეს.

თესვა შეიძლება თებერვალ-მარტში, შემოდგომაზე ნოემბრის იცამდე.

ე.ი. ყინვების დაწყებამდე, დათესვის შემდეგ უნდა მოხდეს მორწყვა, თესლის გამოშრობის თავიდან ასაცილებლად. ორნლიანი ნერგები რომელთაც აქვთ კარგად განვითარებული ფესვები, დეროს სიმაღლე 35სმ, სამი-ოთხი ცალი კარგად შეფოთლილი მომწიფებული გვერდითი ტოტები შესაძლებელია გადაირგოს მუდმივ ადგილზე.



ნერგების დარგვა შესაძლებელია ოქტომბრის მეორე ნახევრიდან 15 ნოემბრამდე.

ნერგის გადარგვა სასურველია ღრუბლიან ამინდში, დილის ან სალამოს საათებში.

**კამელიის გაშენება:** კამელიისათვის ჭარბტენიანი ნიადაგები გამოუსადეგარია. ზამთარში ტემპერატურა – 150 გვემოთ არ უნდა ეცემოდეს. კამელია კარგად იზრდება ვაკე წყალგამტარ ნოყიერ ნიადაგზე, ის კარგად ვითარდება წითელმიწებზე. კამელია მრავალნიანი მცენარეა ის ირგვება 2მ. დაცილებით. თუ ბუდნებით ვთესავთ ბუდნაში ითესება 4X5 თესლი. დარგვა უმჯობესია შემოდგომით, ბუდნის ზომა 30-30 სმ. კარგი იქნება გადამწვარი ნაკელის შეტანა, მომზადებული ნერგი ბელტიანად ისე უნდა ჩავდოთ ორმოში, რომ ფესვის ყელი 2 სმ. ნიადაგის ზედაპირიდან უფრო

მაღლა იყოს, ამის შემდეგ ფხვიერი ტენიანი მიწა უნდა დაუტკეპნოთ ნერგს, მოვრნებათ და ფოთლები ერთი მესამედით შეუკვეცოთ.

**კამელიის მოვლა:** მოიცავს მცენარისა და ნიადაგის მოვლის ღონისძიებებს, ნიადაგის პერიოდული გაფხვიერება აუცილებელია, სარეველა მცენარეთა მოსპობა, მცენარეთა უკეთ დაბუჩქვას. ამ მიზნით დარგვიდან მეორე წელს, ადრე გაზაფხულზე, მცენარის მწვანე ზედაპირს ჭრიან 45 სმ. სიმაღლეზე და გვერდით ტოტებს შევკვეცავთ, რომ გაძლიერდეს ღეროთა დატოტვა. ძლიერი ზრდის შემთხვევაში შემდგომ წლებში საჭიროა მძიმე გასხვლა.

### დასკვნა

1. კამელია (ჩაის ვარდი) როგორც მრავალნლოვანი, დეკორაციული მცენარე, რომელიც თავისი სილამაზით ატყვევებს ადამიანს, შესაძლებელია დავრგოთ და გავალამაზოთ ჩვენი სკოლის ეზო, საკარმიდამო ნაკვეთი.

2. სკოლების ინტეგრირებულმა მუშაობამ, ანასეულის კვლევით ინსტიტუტის დახმარებით, წარმატებით განახორციელა შიდა სასკოლო პროექტი „მწვანე სიცოცხლე“, სოფ.ლიხაურის და სოფ.ნარუჯის სკოლის მოსწავლეებმა გამოიყანეს „ჩაის ვარდის“ 200 ნერგი.

3. „მეცნიერება ინყება სკოლიდან“, ამ პროექტით საფუძველი ჩაეყარა სკოლების დამეგობრებას, მოსწავლეთა სამეცნარმეო უნარ-ჩვევების განვითარებას, სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებას. ეს არის სწავლა კეთებით. ჩვენთან მეცნიერულ დონეზე ხდება კამელიის (ჩაის ვარდის) მოვლა-მოყვანის ტექნოლოგიის შესწავლა.

**მეცნიერებული ბიოლოგიის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი,**

**ბარიაზ მოსახლისამისი, ბიოლოგი, მენტორი პედაგოგი, სოფ.ლიხაურის საჯარო სკოლა**

**ვადა მოსახლისამისი, სოფ. ნარუჯის სკოლის დირექტორი**

## გივი მეთოდეს-ძე ნეფარიძე მეგობრის გახსენება

გარდაიცვალა ღიასაული ქართველი, საამაზო გამულიშვილი, ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიური დოკტორი, გივი მეთოდეს-ძე ნეფარიძე, რო-მელიც წლების განეთმობაში დაუღალავად მასახური გამოყენების და მიზანმდებლობის ცვლილი მეცნიერება სოფლის მეურნეობის სა-ინჟინერო სფერო. მათ მიერ არაერთი პრობლემური საკითხი იქნა შესწავ-ლილი და გადაწყვეტილი.

გივი მეთოდეს-ძე ნეფარიძე დაი-ბადა 1938 წლის 9 იანვარს ქ. თელავ-ში. წარჩინებით დაამთავრა თელავის პირველი საშუალო სკოლა, შემდეგ სწავლა გააგრძელა ქ. თბილისში, სა-ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, მექანიზაციის ფაკულ-ტეტშე. ამავე ინსტიტუტში დაამთავ-რა ასპირანტურა და 1972 წელს დაიც-ვა დისერტაცია თემაზე „ფერდობმა-ვალი ტრაქტორის (T-50 K) მოძრაობის სტაბილიზაციის და რიგთაშორისებში მუშაობის პროცესის გამოკვლევა“.

გასული საუკუნის 70-იან წლებში „სპეციალურ საკონსტრუქტორო ბი-უროში“ შემდგომში „ვნიგორსელმა-ში“-ი, ქართველი მეცნიერები და კონ-სტრუქტორები, სოფლის მეურნეობის სხვა პრობლემების პარალელურად, მუშაობდნენ ისეთი სპეციალური ტრაქტორის (ფერდობმავლის) შექმ-ნაზე, რომელიც შესასრულებდა ძირი-თად სასოფლო-სამეურნეო სამუშაო-ებს მთავრობან პირობებში. აღნიშნუ-ლი პრობლემა წარმატებით იქნა გა-დაწყვეტილი და შეიქმნა მსოფლიოში პირველი ფერდობმავალი ტრაქტორი T-50K, შემდგომში დამუშავებული და მინსკში დამზადებული იქნა ანალო-

გიური ფერდობმავალი ტრაქტორი MTZ-80K, რომელიც წარმატებით გა-მოიცადა საქართველოში და ბულგა-რეთში. აღნიშნული პრობლემის გა-დაწყვეტაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ბატონშა გივი ნეფარიძემ.

1975 წლიდან, ბატონი გივი დაი-ნიშნა თელეოთის მექანიკური ქარხნის დირექტორად, შემდგომში მუშაობა გააგრძელა ქ. თბილისში, დიღმის საც-დელ-სარემონტო ქარხანაში, მთავარი ინჟინრის თანამდებობაზე. აღნიშნულ ქარხანაში ძირითადად რემონტდებო-და C-100, DT-75, MTZ-50-ის და სხვა ტრაქტორების ძრავები და მექანიზმები. ქარხანას ეკავა თითქმის 3 ჰა ფარ-თობი. ამ სანარმოს ქვეყნისათვის უდი-დეს მნიშვნელობა პქნდა, ვინაიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა საკმა-ოდ ძირი იყო და დეფიციტური. ამდე-ნად მათი აღდგენა დიდ ეკონომიკას აძ-ლევდა ქვეყნას. ამ საქმეს დიდი პასუ-ხისმგებლობით ასრულებდა ბატონი გივი ნეფარიძე. აღნიშნულ ქარხანაში სანარმოო პრაქტიკას გადიოდნენ სა-ქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინს-ტიტუტის და საქართველოს სუბტრო-პიკული მეურნეობის (ქ. სოხუმი) მექა-ნიზაციის ფაკულტეტის სტუდენტები, რომელთაც გივი ნეფარიძე უზიარებ-და თავის ცოდნას და გამოკიდილებას.

1990 წლიდან, ბატონი გივი შეს „გა-მას“-ს ხელმძღვანელია, სადაც ის სი-ცოცხლის ბოლომდე მუშაობდა.

ბატონმა გივიმ, უაღრესად მშვიდ და სათონ ქალბატონ ციალასთან ერთად, შექმნა ნამდვილი ქართული ოჯახი;



მათ ჰყავთ ორი ქალიშვილი და ოთხი შვილიშვილი. ბატონი გივი 2023 წლის ბოლო თვეებში ავადმყოფობდა, მაგ-რამ შეუპოვრად ებრძოდა ავადმყოფო-ბას; ცდილობდა მეუღლეს და შვილებს არ ეხერვილათ. მიუხედავად მეუღ-ლის და ექიმების დიდი ძალისხმევისა, ბატონი გივი გარდაიცვალა 2023 წლის 31 დეკემბერს. ნიმანდობლივია ის ფაქ-ტი, რომ ახალი წლის წინა დღეებში, ბატონი გივის გარდაცვალებამდე ერ-თი კვირით ადრე, ამერიკიდან და გერ-მანიდან ჩამოვიდნენ მისი შვილები და შვილიშვილები და ბატონმა გივიმ უკანასკნელი დღეები გაატარა მათთან ფუძე ოჯახში. ასე რომ მან შესძლო, სი-ცოცხლის ბოლო დღეებში, მათი მოფე-რება და გამომშვიდობება. ბატონი გივი ვალმოხდილი და ქამყოფილი წავიდა ამ ქვენიდან. მას 2024 წლის 9 იანვარს 86 წლის შეუსრულდებოდა.

სამწევაროა, რომ ჩვენგან წავიდა ლირსეული მამულიშვილი, მაღალ-ე-ვალიფიციური სპეციალისტი და მეც-ნიერი, ლამაზი ოჯახის მამა და ბაბუა, მეგობრების მოყვარული და გვერდ-შიმდგომი, რომლის დავინება ჩვენთ-ვის შეუძლებელია. მადლობა ბატონი გივი თქვენი ვაჟუაცური და ლირსეუ-ლი ცხოვრებისათვის.

**ნუზარ მეცნიერი,**  
სსიპ სოფლის მეურნეობის  
სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის,  
ავროსაინური კვლევის  
სამსახურის უფროსი,  
ტექნიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

### ეთევზეობა

## კოპრის სათევზე მეურნეობაში პოლიკულტურის პირობებისათვის

მთევზეობის პრაქტიკაში, პუნქტობით საკვები პაზის სრულად ათვისების მიზნით ფართოდ გამოიყენება ცხალსაჭივში თევზის შერეული ჩასრა, დამა-ტეპითი თევზაზის ჩასრა და პოლიკულტურა (ჩუასალი ა. და სხვები 2010 წ.).

ცნობილია, რომ ტემპერატურულ რეჟიმთან დამოკიდებულების მიხედ-ვით სატბორე მეურნეობები გამო-საზრდელი თბილი წყლის მოყვარუ-ლი თევზებიდან, რომელთა გამრავ-

ლებაც გაზიაფხულზე ხდება, კობრი და მისი ჰიბრიდია. მათ რიცხვს მიე-კუთვნება: კარჩინა, იდი, ქარიყლა-პია, თეთრი ამური, სქელმუბლა და მისი ჰიბრიდები (Б.А.Кასпин 1964).

კლიმატური და ბუნებრივი პირობე-ბის თავისებურებებიდან გამომდინა-რე, კობრი სხვადასხვა გეოგრაფიულ პირობებში საკმაოდ განსხვავებული სახით წარმოგვიდგება. არსებობი-სათვის მკაცრი პირობებით გამორ-ჩეულ ჩრდილოეთის პირობებში ქერ-ცლიანი კობრის მოშენებას ამჯო-ბინებდნენ. სამხრეთის რეგიონები-

სათვის კარგი რეკომენდაციით ხასიათდება შიშველი კობრი. უკრაინაში გამოყვანილია ქერცლიანი, სწრაფმზარდი, სწრაფმზარდი ხორციანი და მაღალი ნაყოფიერების მქონე უკრაინული კობრი. ფართო გავრცელებას პოულობს კობრისა და ამურის საზანის ნაჯვარი (კურსკის კობრი), რომელიც კარგად იზრდება და გამოზამთრების კარგი უნარით ხასიათდება. ასეთივე ოვისებები აღმოაჩნდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო განყოფილების მიერ გამოყვანილ პიბრიდს, რომელიც მიღებულ იქნა ჩვენს მიერ ფარავნის ტბისა და მდინარე რიონის კობრის შეჯვარების გზით. აღნიშნული „ფარიონის“ სახელითაა ცნობილი (რ. ბარკალაია, ე. კაშია, გ. წერეთელი, 2018).

**კობრი** – სატბორე მეურნეობაში გამოსაზრდელი თევზების ძირითადი ობიექტია. დღეისათვის გამოყვანილია და იზრდება მისი რამდენიმე სახეობა, რომელთა შორის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნებია პროდუქტიული ხარისხოვნება, ფარფლის ფორმა-განლაგება და სხვა.

სარკისებური კობრი დაფარულია „სარკისებური“ ფარფლით, რომელიც სხეულზე სამ მწკრივადაა განლაგებული. იგი დიდი პოპულარობით სარგებლობს საქართველოში.



**შიშველი კობრი** – თითქმის მთლიანადაა მოკლებული ფარფლის არსებობას, ზოგიერთ ადგილებში მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, რომელიც გაფანტულია სხეულზე. მას შინორად კანიანსაც ეძახიან.



**ქერცლიანი კობრი** მთლიანადაა დაფარული ქერცლით და სხვებთან

შედარებით აქვს სხეულის წაგრძელებული ფორმა.




**საზანი კობრი** – ხასიათდება გვერდით ხაზზე ერთ მწკრივად განლაგებული მსხვილი ქერცლით.



**ვერცხლისფერი კარჩხანა** – არის თევზი, რომელსაც საინტერესო ბიოლოგიური თვისება გააჩნია: წყალსატევების უმრავლესობაში (გამონაკლის წარმოადგენს ციმბირი და შორეული აღმოსავლეთი) მამრობითი სქესის თევზი არ ბინადრობს. ასეთ შემთხვევაში ქვირითის განაყოფიერებას ახდენენ სხვა სახის თევზები (ოქროსფერი კარჩხანა, საზანი და სხვა). მის ძირითად საკვებს ზოოპლანქტონი წარმოადგენს – იშვიათად ბენტოსი. საკვებად გამოყენების თავისებურება წარმოსახავს მას გამრავლებისათვის პერსპექტიულ ობიექტად. ხასიათდება ფართოდ გავრცელების უნარით და გამოზამთრების მაღალი პროგნოზით. განსაკუთრებით მომგებიანად ითვლება ჩასასმელი მასალის დამატებითი სახით გამოყენება.



**ოქროსფერი კარჩხანა** – გამოირჩევა განსაკუთრებული გამძლეობით, როგორც უანგბადის, ისე ჰიდროქიმიური რეჟიმის მიმართ. ძლებს წყალსატევის წყლის ფსკერზე გაყინვის პირობებშიც, იკვებება ბენტოსით.



**ჭანარი** – უანგბადის მიმართ მაღალი მოთხოვნილებით არ ხასიათდება, სიცოცხლის უნარიანობას ინარჩუნებს ფსკერამდე გაყინულ წყალსატევებში. გამოზამთრების პერიოდში იყლობა ლამში. იკვებება ძირითადად ბენტოსითა და ზოობენთოსით. მისი გამოზრდა ხდება კობრის გამოსაზრდელ ობიექტებში დამატებითი ჩასასმელი მასალის სახით.

ხასიათდება განსაკუთრებული თავისებურებით იმ წყალსატევებში, რომლის ფსკერიდანაც საკვების აღება ათვისება უჭირს კობრს.



**იდი** – ფართოდ გავრცელებული სამრეწველო დანიშნულების თევზით. მას ხშირად იყენებენ, როგორც დამატებით ჩასასმელ მასალას კობრთან ერთად გამოსაზრდელად, რაც ბევრად ადიდებს წყალსატევის პროდუქტიულობის მაჩვენებელს. ტბორებში ძირითადად ხდება მისი შინაური ფორმების გამოზრდა – ორფის ან ოქროსფერი იდის სახით. იკვებება შერეული საკვებით – ზოოპლანქტონით და ბენტოსით.



**ქარიყლაპია** – გამრავლებას იწყებს ყინულის დნობის პერიოდში, იშვიათად ყინულის საფარქვეშ. მისი მოზარდის ჩასმა სატოფე ტბორში მიღებულია სარეველა თევზისაგან გასათავისუფლებლად, განსაკუთრებით კობრის საკვების კონკურენტი სახეობისაგან, ძნელად საზრდელი კარჩხანისა და სხვა სარეველა, დაბალი ლირებულების თევზისაგან. მის ძირითად საკვებს წვრილი თევზი წარმოადგენს.



**სქელშუბლა** – მდინარის თევზია მისი ძირითად საკვები მცენარეული წარმოშობისაა. სქესმომნიფებას სიცოცხლის 5-6 წლის ასაკში აღნევს. ხშირ შემთხვევაში სამხრეთის რეგიონებში ერთი ორი წლით ადრეც. გამრავლების პერიოდი ივლისი-აგვისტოს თვეებია, წყლის მაღალი ტემპერატურის პირობებში 25° და ზევით. გამოჩევა ხდება მეორე დღესვე. ცნობილია, რომ ჩინეთში მათი მოზარდის დიდი რაოდენობით გამოჭრა ხდება ბუნებრივ პირობებში, რომელიც გადაჰყავთ ხელოვნურ ტბორებში და ზრდიან სასაქონლო პროდუქციის მიღებამდე. საქართველოში ცნობილია სქელშუბლას სამი სახეობა: თეთრი, ჭრელი და ჰიბრიდული. აკლიმატიზაცია 1962 წლიდან (ნ. ნინუა 2013).



**თეთრი ამური** – ბუნებრივ პირობებში უსურიის, სუნგარის, ამურის და მათი მიმდებარე წყალსატევების ბინადარია. ახასიათებს ზრდის მაღალი ტემპი. იკვებება წყლის მცენარეებით. ხორცი ცხიმიანი აქეს. გამოყენება ხდება, როგორც დამარილებული ისე ნედლი სახით (ლ. ჯიქია, მ. ბარვენაშვილი, 2011). საქართველოში პირველივე წლის ბოლოს აღნევს 500გრ. და მეტს. თეთრი ამური ერთი თვის ასაკში საკვებად იღებს როგორც წყალმცენარეებს, ისე ბალახსა და ფოთლებს. მათი გამოყენება ხდება წყალსატევის ჭარბი მცენარეული საფარისაგან გასათავისუფლებლად. საქართველოში აკლიმატიზებულია 1962 წლიდან

ზემოთ ჩამოთვლილი თევზების გარდა ზოგიერთ წყალსატევში დამატებითი ჩასასმელი მასალის სახით კობრთან ერთად სვამენ ფარგას, სიგს და სათანადო საარსებო პირობების არსებობისას ცისარტყელა კალმახიც.



**ფარგა** – შეიძლება გამოიზარდოს კობრთან ერთად იმ წყალსატევებში, სადაც უანგბადის კარგი რეჟიმია. მათი ჩასმა გამოსაზრდელ ტბორში რეკომენდებულია იმ წყალსატევებში, სადაც ბევრი სარეველა თევზია. ფარგას წყალსატევში ჩასასმელი მასალის რაოდენობა კობრის, როგორც ძირითადი თევზის, 10-20 %-ს უნდა შეადგენდეს.




**ქორჭილა** – რეკომენდებულია ჩასვას კობრის გამოსაზრდელ იმ შემთხვევებში, სადაც ბინადრობს სარეველა თევზი. იგი საკვებად იყენებს თავიომბალებს, ბაყაყებს, მწერებს და სხვა. ამწლიანები შემოდგომისათვის 30-40 გ-ს აღწევენ, რომელთა გამოზრდა კობრის ორნლიანებთან ერთად დასაშვებია.



**ცისარტყელა კალმახი** – შემოყვანილია კურსკის ოლქიდან ერთი წლის ასაკში შეიძლება (თუ წყლის ხარისხი იძლევა საშუალებას) გაიზარდოს კობრის ერთნლიანებთან ერთად. იგი იკვებება როგორც თევზით, ისე წყალში ბინადარი სხვადასხვა უხერხემლო ცხოველებით, თავკომბალე-

ბითა და ბაყაყებით. ცისარტყელა კალმახის ჩასმა წყალსატევში მასში არსებული კობრის რაოდენობის 10%-ის ოდენობითაა რეკომენდებული.



**რიბუსი** – იკვებება ზოოპლანქონით. საქართველოში გადმოტანილი იქნა მისი განაყოფიერებული ქვირითი ვოლხოვის თევზისაჭერიდან. ლიფსიტის ჩასმა წყლის კარგი რეჟიმის პირობებში კობრის გამოსაზრდელ ტბორში რეკომენდებულია ყვითრის გაწოვის შემდეგ. თევზის ქარხანაში ინკუბირებული ან განაყოფიერებული ქვირითიდან მიღებული ლიფსიტის ჩასმა ტბორში უნდა მოხდეს კობრის ერთნლიანებთან. შემოდგომისათვის 50-80 გრ-მდე მიღწეული, ბუნებრივი პროდუქტიულობის 30-40%-ით გაზრდის გარანტია შეიძლება იქნეს განხილული.



**ევროპული ჭაფალა** – საქართველოში აკლიმატიზებულია ლენინგრადის (პეტერბურგის) ოლქიდან 1930 წელს, ტაბანცურის და შემდეგ ფარავნის ტბორში. დღეისათვის წარმატებით ხდება მისი გამოზრდა ხრამპესის წყალსატევშიც.

## თავაზ გავაზული, რუსულან გარკალაბა

### გამოყენებული ლიტერატურა:

1. Б.А. Каспин и др. Проектирование и строительство рыбоводных хозяйств и заводов., Москва, 1964;
2. ნ. ნინუა და სხვები. საქართველოს თევზები; თბილისი, 2013 წ;
3. ლ. ჯიქია, მ. ბარვენაშვილი. თევზის და კიბოსნაირთა მოშენება, თბილისი, 2011 წ;
4. ა. ჭეუასელი, ე. გრიგორელიანი, ნ. მილაშვილი, ა. ჩაგელიშვილი, დ. დოდუა. ტბორში თევზის გამოზრდის ტექნოლოგია კვების საფუძვლებით, თბილისი 2010 წ.



1.1. 10-12 მლ სსნარი, პულვერიზატორით ესხურება თითო ჩარჩოზე. ბარტყის დროს 4-ჯერადი შესხურება, 3-4 დღის ინტერვალით. ეფექტიანობა 80-85%. 1.2. იგივე უბარტყო პერიოდში ორჯერადად – 98%. შენამვლა შეიძლება ზამთარშიც 2-3 გრადუს ცელსიუსზეც. 1.3. მუაუნმუშავას 2-3% წყალხსნარის ჩასხმა გახვრეტილ თავსახურიანი ბოთლით 3-4 დღის ინტერვალით, ბარტყიანობის დროს 4-5 ჯერ, ხოლო უბარტყობისას ორჯერადად ეფექტურობა 60-70%.

1.4. განეულ ჩარჩოებს შორის ჩასხურება პულვერიზატორით ბარტყის დროს 4-ჯერადად, უბარტყობისას – ორჯერადად 3-4 დღის ინტერვალით, ეფექტიანობა 50-60%-მდე.

2. მუაუნმუშავას 3-4% შაქრიანი წყალხსნარის გამოყენება, 4-ჯერადად, 3-4 დღის ინტერვალით, ბარტყის დროს, უბარტყობისას 1-2 -ჯერადად

ერთი ლიტრი წყალხსნარის მისაღებად საჭიროა 600 გრ თბილი წყალი, 35-40 გრ მუაუნმუშავა და 600 გრ შაქარი, ვირევთ სრულ გახსნამდე.

მე ვიყენებ ასეთი დოზებით: 600 გრ წყალი, 36 გრ მუაუნმუშავა, 400 გრ შაქარი, 1,5 მმ ნახვრეტიანი ბოთლით ვასხურებ 5 მლ ჩარჩოებს შორის. ბარტყის დროს 4-ჯერადი ჩასხმა 4-5 დღის ინტერვალით, ეფექტურობა

80-90%. ეს სსნარი შეიძლება შევინახოთ მაცივარში და გამოვიყენოთ 7-10 დღის განმავლობაში.

3. მუაუნმუშავას ორთქლის მიღება და გამოყენება ამაორთქლებლით. ამაორთქლებლის 200-220 სამუშაო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ 1-2 გრ მუაუნმუშავას ვყირთ ამაორქლებლის თავსახურში, ამაორთქლებელს გადმოვაბრუნებთ და ამაორთქლებლის მიღს ვათავსებთ სკის საფრენში 0,5-1 ნეტამდე დროით. ბარტყიანობის დროს 4-ჯერადი შეორთქლება, 3-4 დღის ინტერვალით, ეფექტურობა 90-95%. უბარტყო პერიოდში საკმარისია 2-ჯერადი შებოლება 4-5 დღის ინტერვალით.

4. მუაუნმუშავას და გლიცერინის ნარევის მომზადება-გამოყენება ემალირებულ ან უჟანგავი ფოლადის ქვაბში.

1 კგ. საკვეპი გლიცერინი გააცხელეთ 60-65 გრადუსამდე და ჩაყარეთ 600 გრ მუაუნმუშავა, ნელ ცეცხლზე დამდგარს ურიეთ სრულ გახსნამდე (სანამ სსნარი გამჭვირვალე გახდება). შეგრილების შემდეგ მომზადებულ სსნარში ვდებთ 3 სმ სიგანის, 35-40 სმ სიგრძის და 2 მმ სისქის მუყაოს 60 ცალ ფირფიტას და ვაჩერებთ ერთი დღე-ლამის განმავლობაში. აღნიშნული ფირფიტები, დაწრეტის შემდეგ, შუაზე მოკეცილი,

## ვარას საწინაღებოდ შეავეზავათი უაწევლის სხვადასხვა გეთოდი

შეავეზავას 2-3 % წყალსნარი (20-30 გრ ერთი ლიტრ წყალში), გამოიყენა იგავე დღეს. უაწევების წყალი იყოს გადაღულებული ან დისტილირებული.

ხურჯინივით გადაკიდეთ ზედა თამასაზე. 2-3 ცალი ფირფიტა ერთ სრულფასოვან იჯახზე. 25-35 დღის განმავლობაში.

5. ზემოთ მოყვანილი რეცეპტი შემოვიდა სამი წლის წინათ ლათინური ამერიკიდან, სადაც მხოლოდ მუაუნმუშავა და გლიცერინი იყო მითითებული.

რუსი, უკრაინელი და ქართველი მეფუტკრების უმეტესობა სხვადასხვა დოზით წყლის დამატებას გვირჩევს.

მომყავს ვ. ა. გაიდარის რეცეპტი: 600 გრამი გლიცერინი (ნახევარი ლიტრი), 250 გრამი წყალი, 500 გრამი მუაუნმუშავა, გლიცერინი და წყალი ისმება უჟანგავი ფოლადის ან ემალირებულ ჭურჭელში, ვდგამთ ნელ ცეცხლზე და ვაცხელებთ 60 გრადუსამდე, ვაყრით მუაუნმუშავას და ვურევთ სანამ სსნარი გამჭვირვალე არ გახდება.

ვეცადოთ სსნარის ტემპერატურა 65 გრადუსს არ გადავაცილოთ.

მიღებული თბილი სსნარი შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც მუყაოს, ასევე 4-ად გაჭრილი ვისკოზური მაგიდის სანმენდი გერმანული ტილოების გასაუდენთად.

მიღებული სსნარი საკმარისია 55-60 ტილოს გასაუდენთად.



ტილოები რამოდენიმე საათით ცხაურზე უნდა დავდოთ, რათა დაიწრიტოს. არ უნდა წვეთავდეს.

7-10 ჩარჩოიან ოჯახს სჭეირდება ორი ნაჭერი, 4-6 ჩარჩოიანს – ერთი.

მე ვისკოზური ტილოები მირჩევნია, რადგან ის მუყაოზე უფრო იოლი გამოსაყენებელია და პირდაპირ ეფარება ჩარჩოს ზედა თამასებზე ბუდის ცენტრში.

**თემურაზ ლომიშვილი,  
საქართველოს პროფესიონალ მეფუტკრეთა  
ასოციაციის პრეზიდენტი**



## აგროცოდის გვარდი



კითხვა-პასუხი

რეალისტური „აგროცოდის გვარდი“  
Agroface.ge info@agro.ge

# ჩარდილი კითხვები კონტროლის გარეშე?

მოგვლეოთ ან დარჩეთ, ტელ.: 595 80 80 81; ელ. ფოსტა: info@agro.ge  
ახალ მიმოწერა შემოსილ „ახალ აგრარულ სამსახუროს“ საშუალებით.

## 1. ვაჟლის ხეს კანი უსაძღვა, შერძი ხევება და დაბლა სცვივა, ას რა დაავალებაა, რით ვუმვალოთ?

– მერქნის სკდომაში დაბლეთქვა შესაძლოა გამოიწვიოს სხვადასხვა მიზეზებმა მაგ.: ნაყინვებმა, მავნებელ-დაავადებებმა. ამიტომ სწორი დიაგნოსტირებისთვის მიმართეთ უახლოეს მცენარეთა მაღაზიებს.

## 2. ვარდის გადარგვა ზამთარში შეიძლება თუ გაზაფხულს დავლოდო?

– ვარდის გადარგვა შესაძლებელია გვიან შემოდგომიდან ადრე გაზაფხულამდე (თბილი ზამთრის პერიოდში – უყინვო ამინდში).

## 3. ვარდის მყობა როგორ ხდება, თუ გვირჩევ დიდ დაგვავალება.

– მყნობა არის სანამყენე კალმისა ან კვირტისა გადატანა საძირეზე. პირველ რიგში სწორედ უნდა შეირჩეს საძირედა სანამყენე ჯიშები, რომლებიც მედევი იქნებიან კლიმატური პირობებისადმი (მაგ.: ყინვისადმი, გვალვისადმი), დაავადებებისადმი და ა.შ. დღეს მევარდეობაში უპირატესობა არა ასკილის საძირეზე დამყნობილ ნერგებს ანიჭებენ, არამედ სადედე მცენარეებიდან აღებული კალმით დაფუძნებულ ნერგს.

ჯანსაღი კალმისა ან კვირტისა აჭრა უნდა მოხდეს სტერილურად, მახვილი დანით, გაითვალისწინეთ, რომ საძირე-სა და სანამყენეს ჭრილის დიამეტრი უნდა ემთხვეოდეს

ერთმანეთს . მყნობის შემდეგ რეკომენდებულია გამოიყენოთ სამყნობი ლენტი.

თუ გაქვთ ინტერნეტთან წვდომა, ამის ძალიან ბევრი ვიდეო მასალა არსებობს, სადაც დეტალურად შეძლებთ ადევნოთ თვალი მყნობის პროცესს.

## 4. დაჭაობებული და დამზადებული ნიადაგი როგორ დავაზროთ და გავანიტროლოთ, რომ იქ გრასტეული კულტურაზე მოვიდვინ?

– დაჭაობებულ ნიადაგზე შესაძლებელია დაშრობის ღრუნისხინების გატარება, რაც შეეხება ნიადაგის არის რეაქციის PH მაჩვენებელი შესაძლოა გავზარდოთ კირის დამატებით, რომელთა რაოდენობები განისაზღვრება ნიადაგის აგროქიმიურ ანალიზის საფუძველზე. გაითვალისწინეთ, რომ ნიადაგის არის რეაქციის PH-ის მოდიფიკაცია კულტურის გაშენებამდე, ბევრად უფრო იოლია, ვიდრე გაშენების შემდეგ.

## 5. საგაზაფხულო შვრია რომილი თვილან ითხოვთა?

– საგაზაფხულო თესვა შესაძლებელია ჩატარდეს ადრე გაზაფხულზევე (თებერვალ-მარტში)

## 6. გოგრის თასლის გულის გამოსარჩევი დანადგარი თუ ასეთობს, შეიძლება საძარტვოლოში შოვნა?

– სამწუხაროდ არ არის ხელმისაწვდომი.



## მარკი კითხვა რეზისურტის გამოყენების შესახებ?

მოგვიხარით ან დარჩათ, ტელ.: 595 80 80 81; ელ.ფოსტა: info@agro.ge  
ასახვების მიღებით უწევთ „აგროექსარტია საქართველოს“ საშუალებით.

**1. დორს ადგომი ეზარება და თუ დგინდა უკანა ფეხები უკანასკნელებს, თითოვს უშინესი ფეხი გადადგას. რა უნდა შეიძლოს და რით ვუჰველო?**

- თქვენს ღორს შეიძლება აქვს სახსრების ანთება, რაც სხვადასხვა წარმოშობის პარეზებითაა გამოწვეული. შეუქმნით თქვენს ცხოველს მეტად კომფორტული გარემო (რბილი და თბილი ქვეშსაგები), უზრუნველყავით ოპტიმალური ტემპერატურა სადგომში – ეს ყველაფერი შემდგომი პრევენციისთვისაც აუცილებელია. უნდა მოვახდინოთ ღორის საკვების ვიტამინებითა და მინერალებით გამრავლება (განასუბერვიტი, კალციოსტონიკი). დი და მონოკალციუმისფატი. ამავდროულად ვაკეთებთ ინექციებს სახერხის ანთების საწინააღმდეგოდ (პენბექსი, ტილოტეკსი) და მინერალურ-ვიტამინური კომპლექსების შეყვანას (კალციმინი, კალცისეტი ან კალციტატი). სასურველია ვიტამინი ადვე-ს ინექციაც.

**2. ზამთარში წილილები ზრდა რომ არ შეაჩერონ, რა საჭაოში როგორი ტემპერატურა უნდა იყოს?**

- საქათმეში წინილების ზრდისთვის ოპტიმალური ტემპერატურა შეგვიძლია მოვახდინოთ შესაბამის ფართობზე მათი განთავსებით და ბრუნდერისა და (ან) ინფრანითელი ნათურის გამოყენებით. ასაკის მიხედვით მათთან 33-25 გრადუსის უნდა იყოს. არ უნდა დაუუძვათ დამით ტემპერატურის 22 გრადუსზე ქვემოთ დაცემა, არ უნდა იყოს მკვეთრი განსხვავება დღე-ლამის ტემპერატურას შორის.

**3. განვითი დასამზადებლად კამერის და ძრობის რძის ერთგანთქმი არება შეიძლება?**

- მანონი არის ქართული ტრადიციული რძემჟავა პროდუქტი, რომელიც ძროხის, კამერის, თხის და იშვიათად ცხვრის რძის ან მათი ნარევისგან მიიღება. კამერისა და ძროხის რძეს შორის განსხვავება გამოიხატება უმთავრესად ცხიმებისა და ცილების, თითქმის ორმაგი რაოდენობით განსხვავებაში. სწორედ ეს უპირატესობა აქვს ძროხის რძესთან შედარებით კამერის რძეს. კამერის რძე უფრო მდიდარია მინერალებითა და ვიტამინებით, გაცილებით ხანგრძლივად ინახება, ვიდრე ძროხის რძე.

კამერის რძეში, ძროხის რძესთან შედარებით, მიუხედავად ცხიმის მარლის შემცველობისა, ნაკლებია ქოლესტე-

რინი, ის წარმოადგენს მეტად სასარგებლო პროდუქტს ძვლებისთვის, გულ-სისხლძარღვთა სისტემისთვის, ასევე ნონის კლების საუკეთესო საშუალებაა.

ძროხის და კამერის რძე გამოიყენება იოგურტების, შესქელებული თუ სხვა რძის პროდუქტების დასამზადებლად, თუმცა კამერის რძისგან უფრო ხშირად შესქელებული რძის პროდუქტებს ამზადებენ. მაღალი ცხიმიანობის გამო, კამერის რძე ისედაც უფრო მეტად სქელ მანონს იძლევა, თუმცა კამერის რძე ყველაზე სასარგებლო მაინც ზაქებისთვისაა.

ძროხის რძეც ძალიან სასარგებლოა და მოთხოვნადი ყველა ქვეყანაში. კამერის რძეს უფრო მეტად აზის ქვეყნებში (ინდოეთი, პაკისტანი) და იტალიაში მოიხმარენ, ვინაიდან სახელმოანი „მოცარელას“ ყველი სწორედ კამერის რძისგან მზადდება, ის კი შეუცვლელია პოპულარული იტალიური პიცის დამზადებისას.

**4. ყველება ნათები ზედომი გარიბედი რომ არ მიღებოს და არ დაგრძელება, როგორ მოვიძეოთ?**

- დიდი ხნით ყველის შესანახად მას მარილიან სითხეში ანუ წათხში ინახავენ. იმისათვის, რომ წათხი ზედმეტად მარილიანი არ გამოვიდეს და ყველი არ დამლაშდეს, საჭიროა წათხის სწორად (ზომიერად მარილიანის) დამზადება. არსებობს ბევრი მეთოდი წათხის მარილიანობის შესამოწმებლად. საუკეთესო მეთოდებში აუცილებლად ფიგურირებს შაქრისა და თეთრი ძმრის აუცილებლობა. რომ დავრწმუნდეთ გაჯერებულია თუ არა წყალი მარილით, მარილწყალში ჩააგდეთ კვერცხი – თუ ამოტივტივდება, ესეიგი თქვენს მიერ მომზადებულ წათხს მარილი ზომიერად აქვს, წათხი ითახის ტემპერატურამდე გააგრილეთ და უკე შეგიძლიათ მომზადებულ სწარშინათხში ყველი ჩაანაცოთ, ისე რომ ყველი დაიფაროს.

**5. რაორაცის გარეშე მოზღვების დაკოდვა/სტილის უზრუნველყოფა არის შესაძლებელი? თუ შეიძლება, როგორ ხდება ეს?**

- მოზვრების დაკოდვა ხდება ოპერაციის და მის გარეშე(უსისხლო მეთოდი) მეთოდითაც. კომპანია „როქს“ სავაჭრო ცენტრ „აგრიქტულაში“ მისამართზე; ქ. თბილისი, ქ. დედოფლილის 77 გაყიდვაში აქვთ სპეციალური საკასტრაციო მაშები, რომელთა გამოყენებითაც ოპერაციის გარეშე ხდება მათი დაკოდვა.



„მსოფლიო ტექნიკა“ გთავაზობთ სლოვაკური კომპანია  
აგრო-ექიმიკას (AGROMEHANIKA) საბაზე-სავენაცე  
ტრაქტორებს

აგრო ექიმიკას ტრაქტორების ცხ.ქაღაგი მერყეობს  
30 ცხ.ქაღაგან – 56 ცხ.ქაღაგზე.

ისენი მოხვევას ახორციელებენ სახსარშეცხვილებული  
ტრანსმისიონი (ARTICULATED TRANSMISSION),  
რაც უზრუნველყოფს კომპარატურ და მცირე რაღიცით  
ტრაქტორის მოგრძელებას!

მოდელი: AGT 835 STAGE 3A / 26 ცხ.ქაღიანი და  
38 ცხ.ქაღიანი

მოდელი: AGT 1060 / STAGE 3A / 56 ცხ.ქაღიანი

დაგვიკავშირდით:

ტელ.: +995595904083

ელ-ფოსტა: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)

მისამართი: თბილისი,  
ვახტანგ გორგასლის ქუჩა 51/53

ვებ-გვერდი: <https://worldtechnic.ge/>



გამოიწერთ ზურნალი  
„აგრარული საქართველო“

ზურნალის ერთი ცლით გამოწერა დირს – 36 ლარი  
ნახევარი ცლით – 18 ლარი.

გამოწერა შესაძლებელია პრესის გავრცელების  
სააგენტოს [elva.ge](http://elva.ge)-ს  
(ტელ.: 577 30 88 47; 032 238 26 73; 032 2 38 26 74),

ასევე პრეს ი/ი „ნინო ტომარაძის“  
ტელ.: 571 01 62 22 მიზანით,

ან ზურნალ „აგრარული საქართველოს“  
რედაქციაში,  
ტელ.: 599 16 18 31.

დაგვიკავშირით მითითებულ ტელეფონის  
ნომრებზე და თქვენ მარტივად შეძლებთ ჩვენი  
ზურნალის გამოწერას და  
შეთანხმებულ მისამართზე მიღებას.

ელ-ფოსტა: [agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)